ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

– 19 აგვისტო, 2012 | №196 (5886) | ფასი: 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 აგვისტოდან!
„ახალი თაობა"
+
აგათა კრისტი
8 ლარი






## მამუკა არეშიძე: „კალაძის წინააღმდეგ ვეტერან ფეხბურთელებს ამზადებენ"

გვ.3

რა ბინძური გეგმა მოამზადა ხელისუფლებამ



## ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართეს

გვ.6

რა შეცდომა დაუშვა მიხეილ სააკაშვილმა



გვ.3

## მანანა ნაჭყებია: „სააკაშვილმა პირდაპირ თქვა, რომ არსად წასვლას არ აპირებს"



გვ.4

## ივანიშვილმა ზოგი პარტია შეიწოვა, ზოგი დაშალა

## ართული ოცნების" ანგარიშზე არსებული ანხა სახელმწიფოს მიერ სრულად ჩამოიჭრა

გვ.4



## რატომ შეამცირა სააკაშვილმა პატრული

გვ.5



## ავთო ვარსიმაშვილი იდიოტობაზე კიდევ ერთ ფილმს იღებს

გვ.7



## ქართველი პოეტის ლექსები თურქულად თარგმნეს

როგორ მოხვდა გიორგი რამაზაშვილი თურქეთში

გვ.6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანანა ნაჭყებია: „სააკაშვილმა პირდაპირ თქვა, რომ არსად წასვლას არ აპირებს“

შორენა კოწოწაშვილი

**რა შანსი აქვს ამ არჩევნებზე საქართველოს და ვინ აფინანსებს დავით გამყრელიძეს? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.**

*– ქალბატონო მანანა, არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე როგორ აფასებთ წინასაარჩევნოდ შექმნილ ვითარებას? იკვეთება, რომ ხელისუფლება დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნებისთვის ემზადება?*

– მე არა მარტო არანორმალურად მიმაჩნია ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილი ვითარება, არამედ მაშფოთებს ის, რაც ხდება. ასეთი აგრესიის, ასეთი დაპირისპირების პირობებში წარმოუდგენელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ხელისუფლებას, ცხადია, აშფოთებს ის, რომ ეს მისთვის უკონკურენტო არჩევნები არ არის. ჩვენ გვახსოვს პოლიტიკურ ძალთა ასეთი დაპირისპირება, მაგრამ, იმ ვითარებისგან განსხვავებით, ახლა ჟურნალისტებიც უმწვავეს დაპირისპირებაში არიან. პირდაპირ მიკროფონებით მიდის ჭიდილი და ამ სიტუაციაში ჟურნალისტიკისთვის ადგილი არ რჩება. პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ეკისრება არჩევნების სამართლიან და სტაბილურად ჩატარებაზე. ის არის ვალდებული, უზრუნველყოს მშვიდობიან გარემოში არჩევნების ჩატარება. მაგრამ, მიმაჩნია, რომ კეთილგონიერება კოალიციამ მაინც უნდა გამოიჩინოს და ამ მხრივ უდავოდ ძალიან სწორი იყო ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომელმაც ბეშუმში დაპირისპირებას გაცლა ამჯობინა. ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გააცნობიეროს ამ არჩევნების მნიშვნელობა საქართველოსთვის და გამორიცხოს ყოველგვარი კონფრონტაცია. ფიქრობ, ასეთი დაპირისპირების მიზეზი ისიც არის, რომ ტელევიზიებში დღემდე არ დაწყებულა დებატები პოლიტიკურ პარტიებს შორის. ამ სიმწვავეემ სწორედ დებატებში უნდა გადაინაცვლოს და პარტიების ლიდერებმა ამომრჩევლებს უნდა უმტკიცონ საკუთარი კურსის სისწორე. საარჩევნო პროგრამების ჭიდილი უნდა იყოს იმავე ეთერში. ხალხს ღიად უნდა ვუთხრათ, რას და როგორ ვაპირებთ. ჩვენმა პარტიამ დადო საპროგრამო დოკუმენტი და ღიად თქვა, რომ ჩვენ მოვდივართ იმისათვის, რათა იყოს შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად. ვაგრძელებთ სოფელ-სოფელ სიარულს და ხალხს ვაცნობთ ჩვენს პროგრამას. არაფერს ვპირდებით იმაზე მეტს, რისი პოტენციალიც ჩვენ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას არ აქვს. მიგვაჩნია, რომ ჩვენი პროგრამით შესაძლებელი იქნება, უახლოეს 4 წელიწადში ყველა ოჯახში თვეში მინიმუმ ათასი ლარი იყოს შემოსავალი. ადამიანები შეძლებენ, იზრუნონ ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ოჯახის წევრების ღირსეულ სიბერეზე და ა.შ. ჩვენ არ ვპოპულისტობთ და არ ვამბობთ, რომ თითოეულ ოჯახს 5 ათასი ლარი ექნება შემოსავალი. საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპები ამაზე მეტს ვერ უზრუნველყოფს ამ ეტაპზე. დიდი ხნის ანალიზის შემდეგ შევიმუშავეთ, როგორ შევძლებთ სამუშაო ადგილების შექმნას, რათა ოჯახებში შემოსავლები გაიზარდოს.



*– არასამთავრობოებისა და ოპოზიციის ნაწილი დარწმუნებულია, რომ საარჩევნო სიები გაბერილია და რომ ხელისუფლება ამ ახალი და გაბერილი სიებითაც უპრობლემოდ შეძლებს შედეგების გაყალბებას.*

– ამას მხოლოდ ის ადამიანები ავრცელებენ, ვისაც მიზანმიმართულად ამ კომისიისა და პირადად მამუკა კაციტაძის დისკრედიტაცია აქვს განზრახული. ვფიქრობ, ამგვარი განაცხადით ვიღაცას სურს, შექმნას წინაპირობა, რომ არჩევნების მისთვის არასასურველი შედეგით დამთავრების შემთხვევაში სიტუაცია დაძაბოს. არა მგონია, ამით კარგ საქმეს უკეთებდნენ ბიძინა ივანიშვილს და მის კოალიციას. კომისია აცხადებს, რომ ღიაა ყველასთვის და მზად არის, ნებისმიერი უზუსტობა აღმოფხვრას. თუ ვინმეს მართლა უნდა, სია მაქსიმალურად ზუსტი იყოს, ჩასაფრებულის პოზიციაში კი არ უნდა იყოს, არამედ ისარგებლოს კომისიის შეთავაზებით და მასთან ითანამშრომლოს. არც ის არის მართალი, რომ თითქოს კომისიამ სია არ გადასცა პოლიტიკურ სუბიექტებს. როგორც კაციტაძე აცხადებს, სიის ელექტრონულ ვერსიას მიიღებს ყველა, ვისაც აქვს ამის სურვილი, ისევე, როგორც ეს კოალიციაში შემავალმა ერთ-ერთმა სუბიექტმა – კონსერვატორულმა პარტიამ მიიღო. სია, იმ დაფინანსებისა და სიტუაციის პირობებში, რომელშიც კომისია იყო, მაქსიმალურად ზუსტია. ცდომილება, ცხადია, უმნიშვნელოდ იქნება, მაგრამ ეს არის ბევრად უკეთესი სია, ვიდრე იყო ოდესმე. გარდა ამისა, კომისია ყველას სთავაზობს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით, გადაამოწმოს, არის თუ არა სიაში. კრიტიკოსები ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან. მამუკა კაციტაძემ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და ამას თავი ნამდვილად გაართვა. როგორც უცხოელმა, ისე საქართველოში მოქმედმა არასამთავრობოებმა უკვე გამოაქვეყნეს მონიტორინგის შედეგები და დადებითად შეაფასეს პირველი ეტაპის შედეგები. რა, არც ამათ უნდა ვენდოთ? ნინო ლომჯარია არ არის ის პიროვნება, რომელიც ვინმეს თავზე ხელს გადაუსვამს. თუმცა ავყია ადამიანებს რა გამოლევს, მუდამ რაღაცით რომ გამოთქვამენ უკმაყოფილებას და თითს სხვისკენ იშვერენ. მათი დრო ქართულ პოლიტიკაში უნდა დამთავრდეს და დამთავრდება კიდეც.

*– თანაბარ პირობებშია თუ არა დღეისათვის ყველა ის პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს?*

– ხელისუფლებას, ცხადია, ყველანაირი ბერკეტი აქვს, რომ თავისი თავი სხვაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩაიყენოს. ეს, პირველ რიგში, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყენებას ეხება. ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებსაც ნაცმოძრაობის მხრიდან რატომღაც ვერ ამჩნევს აუდიტის სამსახური, ისევე, როგორც ვერ ხედავს გადაცდომებს

**„ახლების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია მიიჩნევს, რომ ქართულ პოლიტიკაში ავყია პოლიტიკოსების დრო უნდა დასრულდეს. მისი თქმით, არასწორად ხდება დღეს ოპოზიციურ ფლანგზე თითის გაშვერა და „ახლები“ არც ხელისუფლებას აძლევენ საფუძველს ფინანსების ხარჯვასთან დაკავშირებით და არც არავის.**

მათი ფინანსური შემოსავლების მობილიზებაში. ამაზე ჩვენ ყველა გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან ვსაუბრობთ. ერთადერთი, სადაც თანაბრობაა, მედიაგაშუქებაა, რაც სწორედ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების შედეგია. ევროკავშირის დაფინანსებით უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მონიტორინგი, რომლითაც ყველა პოლიტიკური სუბიექტი ვსარგებლობთ. ცხადია, ნეგატივ-პოზიტივის თვალსაზრისით არის პრობლემები, მაგრამ გაშუქებით ჯერჯერობით ყველა პოლიტიკური სუბიექტის აქტივობა შუქდება.

*– მაჭავარიანმა ხაზი გაუსვა, რომ სამი პოლიტიკური ძალა შევა პარლამენტში: ხელისუფლება, კოალიცია „ქართული ოცნება“ და ქდმ. ახლების შანსებს არასწორად აფასებს მმართველი გუნდი?*

– მაჭავარიანის ოცნება, რა თქმა უნდა, არის ის, რომ „ახალი მემარჯვენეები“ არათუ პარლამენტში, არამედ პოლიტიკაში არ იყოს. ეს ცხადია. მან სასურველი რეალობად წარმოიდგინა, მაგრამ ამ სიამოვნებას ბატონ მიხეილსა და ბევრ სხვასაც ვერ მივანიჭებთ. ჩვენი პარტია პარლამენტში იქნება. ჩვენ არაერთხელ შეგვისრულებია მნიშვნელოვანი მისია ქვეყნის ცხოვრებაში. დღესაც გვაქვს მისია და ეს მისიაა მრავალპარტიული პარლამენტი, სადაც ერთი პარტია ვეღარასოდეს მიიღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად და მოუწევს სხვა პარტიის აზრის გათვალისწინება. მონოპოლიები ყველგან უნდა დამთავრდეს – ბიზნესშიც, პოლიტიკაშიც და, უნდა თუ არა ბატონ მაჭავარიანს ეს, ამას ჩვენ გავაკეთებთ, „ახალი მემარჯვენეები“.

*– თქვენ აქტიურად მუშაობთ სამეგრელოში. რამდენად გადატყდა მ[illegible]ში და მართლაც ასეთი უპირობო მხარდაჭერა აქვს რეგიონში სააკაშვილს, ახალაიების ფაქტორიდან გამომდინარე?*

– სულაც არა აქვს უპირობო მხარდაჭერა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ნაციონალურმა მოძრაობამ, სამხარეო პროკურორის მეშვეობით ზეწოლისა და დაშინების პირობებში ჩაატაროს არჩევნები. ხელისუფლებას არ უნდა, ზუგდიდში გარისკოს და ხალხისთვის მისაღები პიროვნება წამოაყენოს კანდიდატად. ის ფაქტი, რომ ახალაიაზე გაკეთდა აქცენტი, ნიშნავს, რომ უნდათ, ზუგდიდში არჩევნები პიროვნების მხარდაჭერას კი არა, პროკურატურის ძლევამოსილებას მოაგებინონ.

*– კოალიციის წევრები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება მხოლოდ მათი ფინანსური მდგომარეობით ინტერესდება და რიგი პარტიები უფრო თავისუფლად ახერხებენ ფინანსების მობილიზება-ხარჯვას. ასეა?*

– მოდით, მასშტაბებს დააკვირდით. რა უნდა გაგვიკონტროლონ? 300 ათასი რომ დავხარჯეთ? სხვების დახარჯული მილიონების ფონზე ეს ზღვაში წვეთია. ეჭვის საბაბი არავისთვის მიგვიცია და არც მივცემთ. ჩვენი ყველაზე დიდი შემომწირველი ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრია და საფრანგეთის მოქალაქეობაც აქვს. იქ მუშაობს საკმაოდ სოლიდურ ადგილას. მის მიმართ გაუჩნდათ ეჭვი და დაუყოვნებლივ ეს ეჭვი მოვსპეთ სათანადო დოკუმენტაციით.

*– დაბოლოს, დღეს ბევრს ლაპარაკობენ სააკაშვილის ბოლო, განსაკუთრებით დიდგორობას გაკეთებულ განცხადებებზე. ალეგორიულ ჟანრში საუბრობს პრეზიდენტი და მისი ტექსტები ფილოლოგებმა უნდა შიფრონონ. როგორც ფილოლოგი, ფიქრობთ, რომ პრეზიდენტის განცხადებები მართლაც გასცდა გარკვეულ ჩარჩოებს?*

– არა, სულაც არ ვთვლი, რომ სააკაშვილი რებუსებით ლაპარაკობს. ის პირდაპირ ამბობს, არსად არ წავალ და ქვეყანა კიდევ დიდხანს მე უნდა ვმართოო. მსგავს განცხადებებს დემოკრატი მმართველები არ აკეთებენ. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა თქვა: „გამყრელიძემ გააჩმახა“, ამის შემდეგ მისგან არაფერი მიკვირს. გადაწყვეტილებას ხალხი იღებს არჩევნებზე, თუმცა ხანდახან ხალხიც ცდება. ხალხმა 96%-იანი მხარდაჭერით მოიყვანა სააკაშვილი და იგივე შეცდომა აღარ უნდა გამეორდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ არჩევნებზე ქვეყანას აქვს შანსი, სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობა დაასრულოს და აღარ დაუშვას იმის შესაძლებლობა, რომ ოდესმე ვინმეს ისევ გაუჩნდეს ერთპიროვნული მმართველობის ამბიციები. ამას დაბალანსებული და მრავალპარტიული პარლამენტი სჭირდება. დარწმუნებული ვარ, საქართველო ოქტომბერში სწორედ ასეთ პარლამენტს მიიღებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ქალაქის წინააღმდეგ ვეტერან ფეხბურთელებს ამზადებენ"

## რა ბინძური გეგმა მოამზადა ხელისუფლებამ



ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***– ბატონო მამუკა, თქვენ კახი კალაძესთან დაკავშირებით საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთეთ, რა ხდება, ხელისუფლებამ კომპრომატების ომი დაიწყო თუ რასთან გვაქვს საქმე?***

– კომპრომატების ომი დიდი ხანია მიმდინარეობს და ახლა, როგორც ჩანს, უფრო უარესი მოხდება. ხელისუფლება შეეცდება დისკრედიტაციას სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერის ქართული ოცნებისა და ახლა, მოკლე ხანში, დაიწყება ფილმების დემონსტრირება, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, დაახლოებით მოდელირებული ქრონიკის მაგვარი. დაახლოებით ისეთი ფილმებისა, როგორიც იყო ბადრი პატარკაციშვილის პერიოდში, ეს ძველი ხელწერაა და ახლაც იგივეს გაკეთებას აპირებენ. უახლოეს პერიოდში მოხდება ამ ხალხის დისკრედიტაციის მცდელობა. საზოგადოება მზად უნდა იყოს ამისთვის და ამიტომაც ვაცხადებ ამას თქვენი გაზეთის მეშვეობით. იცოდეთ, რომ ეს პროცესი ცოტა ხანში დაიწყება. რაც შეეხება კახი კალაძის …მას, ის არის ერთ-ერთი ლიდერი ქართული ოცნებისა და განსაკუთრებით გამაღიზიანებელია ხელისუფლებისთვის, იმიტომ, რომ კახი კალაძე არ შემოიფარგლება მხოლოდ სამტრედიის რაიონით, ის გადაადგილდება მთელ საქართველოში და ხელისუფლება ხედავს, რომ მას აქვს მაღალი რეიტინგი და ხალხი მას სიამოვნებით ხვდება სხვადასხვა სოფელში, დაბაში თუ რაიონში. ამიტომაც უნდა მოხდეს, როგორც ჩანს, მათი აზრით, კალაძის დისკრედიტაცია.

***– დისკრედიტაციის გეგმა როგორია?***

– თქვენ ნახეთ, რომ არ გამოდგა გეგმა, რომელიც ჩაფიქრებული იყო. პირველი ვარიანტი იყო, რომ ზოგიერთი კორუმპირებული იტალიელი სამართალდამცავის მეშვეობით მომხდარიყო მისი დისკრედიტაცია. თუმცა არ გამოვიდა ეს ამბავი, რადგან კახასაც აქვს, როგორც ჩანს, თავის კავშირები და დადანაშაულება არ მოხერხდა. ეს არის საქართველო, იტალია არის ცივილიზებული ქვეყანა. ამიტომ ახლა გადაწყვიტეს სწორედ საქართველოში გააკეთონ იგივე და ეს გააკეთონ მისი კოლეგების ხელით, ვეტერანი ფეხბურთელების. ახლა მიდის მოლაპარაკებები ვეტერან ფეხბურთელებთან და ცდილობენ რომელიმე დაითანხმონ, აი, ამ პროექტზე. რა შედეგს მიაღწევენ, სიმართლე რომ გითხრათ, ვერ გეტყვით.

***– რა ფორმებით შეეცდებიან კალაძის დისკრედიტაციას?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, რა ფორმებით შეეცდებიან ამას, თუმცა ვიცი, რომ ამის მცდელობა არის. მე მაინც მგონია, რომ ამას შედეგი არ ექნება. ის ადამიანები, ის ფეხბურთელები, რომლებმაც შეიძლება ამ პროექტში მონაწილეობა მიიღონ, ეს ნიშნავს, რომ ეს ადამიანები თავის ავტორიტეტსა და იმიჯს დიდ წითელ ხაზს გადაუსვამენ.

***– წესით არ უნდა წავიდეს ამაზე არავინ...***

– მეც დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე არავინ წავა.

***– მაინც რომელ ფეხბურთელს ეძებენ ამ ბინძური საქმისთვის?***

– მე გვარებს არ დავასახელებ. მაგრამ მაქვს ის ინფორმაცია, რომ რომელიღაც დაითანხმეს ამაზე. მე მაქვს ის ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ამას აკეთებს.

***– ხელისუფლებას რაც შეეხება, სააკაშვილის გამონათქვამებს ვინც უსმენს, რწმუნდება, რომ ის წასვლას არ აპირებს. მე კიდევ მრავალი წელი ვა-… რებ ამ ქვეყნის შენებასო, განაცხადა. რა მესიჯი იყო ეს?***

– ეს სხვა პიარული სვლა არის, საზოგადოების ცნობიერებაში გაჩნდეს განწყობა, რომ ხელისუფლება მზადაა ყველაფრისთვის, ხელისუფლება უკან არაფერზე არ დაიხევს და აქედან გამომდინარე ბრძოლას აზრი არ აქვს. ეს არის ამ ტიპის მესიჯი და ამაში გასაკვირი არაფერი არ უნდა იყოს. მე შემიძლია, მაგალითად, გითხრათ, ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების და მაჟორიტარობის კანდიდატების გაღიზიანება და შეშფოთება, ისინი ხედავენ, რომ ძველი მეთოდოლოგია არ გამოდგება და ხალხი რაიონებში არ არის მათ მხარეზე. ის ნაწილიც კი არ არის მათ მხარეზე, ვისი განსაკუთრებული იმედიც ჰქონდათ. მათ ძალიან კარგად იციან ისიც, რომ ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომელიც, ვთქვათ, ადმინისტრაციულ ორგანოებზე მუშაობს, იმათი იმედიც არ უნდა ჰქონდეთ. მე არ ვამბობ, რომ რეგიონებში არა აქვს მხარდაჭერა ნაციონალურ მოძრაობას, როგორ არა აქვს, აქვს, მაგრამ ეს არის ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე მათ წარმოედგინათ ან ეგონათ. ისიც უნდა ითქვას, რომ ბრძანება ისეთი კი არ აქვთ მიღებული ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს, რომ უნდა გავიმარჯვოთ, არა, უნდა გავიმარჯვოთ დიდი ანგარიშით. ოპოზიცია უნდა დავამარცხოთ დიდი ანგარიშით, რეგიონებში კი ამის რესურსი არა არის, არც რეგიონებში და არც ქალაქებში არ არის და ამას ყველაფერს ძალიან კარგად ხედავენ. ამიტომ ისინი იძულებულები არიან პიარსვლა იხმარონ, რომ აი, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, ჩვენ მაინც ვიქნებით, ჩვენ გავიხანგრძლივებთ ხელისუფლებაში ყოფნას.

***– გამოდის ინფორმაციები, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში პოლიციელები ჰყავს ბაჩო ახალაიასო. თითო პოლიციელს ათი კაცის გადმობირება აქვს დავალებული ნაცმოძრაობის სასარგებლოდო. თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ?***

– ასეთი ინფორმაციები მაქვს ზუსტად. მე ვიცი პოლიციელების მდგომარეობა, მე ვიცი ისიც, რომ ბევრი მათგანი არის ორ ცეცხლშუა ჩავარდნილი, უფრო ზუსტად, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. იმიტომ, რომ თავის ხვალინდელ დღეს ვერ უყურებს იმედიანი თვალით და ისიც ვიცი, რომ ბევრი მათგანი ისეთ შარში ჰყავთ გახვეული, რომ უიმედოთაც კი არიან, რადგან ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, მათ სერიოზულად დასჯიან. ისეთ შარში გახვიეს ეს ხალხი, რომ დამნაშავეებად აქციეს. ამდენად, მათ სხვა გზა არა აქვთ, თუ არა ამ ხელისუფლებისთვის მხარდაჭერა.

***– ვისაც მერყეობა შეატყვეს, ბაჩო ახალაია დაემუქრა, სამშობლოს ღალატის მუხლით გაგასამართლებთო...***

– ალბათ, ეს მუქარაც იყო. მე ვიცი, რომ ხუთი ათასამდე საშუალო ჩინის პოლიციელია გამზადებული, რომ განცხადება დაწეროს და წამოვიდეს. ისიც ვიცი, რომ ზოგიერთ რეგიონებში მაღალჩინოსანი პოლიციელები წავიდნენ სამსახურებიდან თავიანთი განცხადებებით, იმიტომ, რომ ამ დაძაბულ სიტუაციას ველარ უძლებდნენ. თვითონ სამინისტროს შიგნითაც საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა ახალ და ძველ კადრებს შორის და სერიოზული ვნებათაღელვაა თვითონ პოლიციაში. მაგალითად, ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგიყვებით, ერთ-ერთ მალაზიაში, სადაც ჩემი ნაცნობი მუშაობს, არ დავასახელებ რომელში, ან სად მდებარეობს, მაესტროს უყურებდნენ და შესულა ერთ-ერთი ჩინოსანი პოლიციელი, რომელიც იმავე უბანში ცხოვრობს. როგორც კი შემოვიდა, მაშინვე მაესტრო გამოვრთეო, პოლიციელს დაუნახავს და უთქვამს, ჩართე, ჩართე, თუ ძმა ხარ, იქნება აქედან მაინც გავიგო რა ხდებაო. უთქვამს ჩვენც ძალიან ცუდ სიტუაციაში ვართ ჩავარდნილი, არ ვიცით რა ვქნათ, რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, ძალიან რთული ვითარება გვაქვსო. უთქვამს, ერთი სული მაქვს, როდის მივალ საარჩევნო ყუთამდეო.

***– ფიქრობთ, რომ ბევრი მათგანი არჩევნების დღეს ელოდება?***

– ძალიან ბევრი ელოდება არჩევნების დღეს, განსაკუთრებით ის, ვინც არ არის კლანურ სისტემაში. რასაკვირველია, ვიღაცები არიან ამ კლანურ სისტემაში და იმათთვის ნაციონალური მოძრაობის ავტორიტეტი არის ხელშეუხებელი, მაგრამ ბევრია, რომელიც უბრალოდ ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. ზოგიერთი მათგანი, გითხარით, რომ არის შარში გახვეული და იძულებულები არიან მყარად იდგნენ თავის პოზიციაზე, ზოგიერთი კი ცდილობს, რაღაცა გამოსავალი იპოვოს შექმნილი მდგომარეობიდან.

***– ბატონო მამუკა, ასევე არ შემიძლია არ გკითხოთ ლაზიკასთან დაკავშირებით, ორიოდე დღის წინ, თქვენც იცით, რომ სააკაშვილმა განაცხადა, ჩემი მთავარი ოცნების განხორციელება იწყებაო. რა ჩანაფიქრია ეს თქვენი აზრით? ითქვა ისიც, რომ სირიელი სომხების დაფინანსებით უნდა აშენდესო...***

– დავიწყოთ იმით, რომ ვინ უნდა იყოს წინააღმდეგი იმის, რომ თანამედროვე ტიპის ქალაქი აშენდეს საქართველოში, ზღვისპირას. მე, მაგალითად, გულით წინააღმდეგი ნამდვილად ვერ ვიქნები, მაგრამ ეს იმ შემთხვევაშია ლოგიკური და გამართლებული, როცა ყველაფერი სხვა ძირითადი პრობლემები მოგვარებული გაქვს. უპრობლემო სახელმწიფო არ არსებობს, მაგრამ ძირითადი პრობლემების მოგვარებაზე მაქვს ლაპარაკი. გარდაბნის რაიონი რომ ავიღოთ, ეს ამხელა რაიონი, 70 ათასი კაცი ცხოვრობს ამ რაიონში და პრაქტიკულად წყლის გარეშეა დატოვებული. აქ არის საუბარი სასმელი წყლისა და სარწყავი წყლის დეფიციტზე. თუ წყალი არ გამოჩნდა, ერთი მხრივ, ეს რაიონი დაიცლება მოსახლეობისაგან და მეორე მხრივ, გაუდაბნოვდება. უდაბნოდ იქცევა ეს ამხელა რაიონი, რომელიც თბილისიდან სულ რაღაც 30 კილომეტრშია. რა რუსული ტანკები დგანან 30 კილომეტრში თბილისის დასავლეთით და რა უდაბნო ყოფილა 30 კილომეტრში აღმოსავლეთში. პრინციპში, ერთნაირი უბედურებაა. ეს საქმე ვერ მოუგვარებიათ ამდენი ხნის განმავლობაში, თითი თითზე არ დაუდიათ, რომ რაიონში ეს მდგომარეობა შეეცვალათ და უცებ იწყებენ ახალი ქალაქის მშენებლობას დასავლეთში. ეს არალოგიკურია. ეს ერთი და მეორეც, ამ ქალაქის მშენებლობის დაჟინებული სურვილი აჩენს ეჭვებს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც გაჩნდა არაბულ პრესაში და რომელიც სირიელი სომხების ფულის ჩადებას გულისხმობს ლაზიკის მშენებლობაში, ყოველ შემთხვევაში, იქ ეგრე ეწერა, ეს რეალობაა. არავის წინააღმდეგი არა ვარ, არავის ფულის ჩადებაზე და, მით უმეტეს, არც სირიელი სომხების, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბევრი რამ ხდება საქართველოს მოქალაქეების სურვილის და საქართველოს მოქალაქეების განწყობის საწინააღმდეგოდ. ხდება აბსოლუტურად იგნორირება ხალხის გასაჭირის და გულისტკივილის. უმძიმეს მდგომარეობაშია ხალხი სოციალური თვალსაზრისით, ინფრასტრუქტურული თუ მორალური თვალსაზრისით, მათი ინტერესი და მათი მდგომარეობა არავის არ აღელვებს და გამოდიხარ და აცხადებ – ლაზიკის მშენებლობას ვიწყებო. უნდა ითქვას ისიც, რომ ლაზიკის მშენებლობაში არ არის გათვალისწინებული ეკოლოგიური მდგომარეობა, ვითარება, რომელიც ძალიან ფაქიზია მაგ რეგიონში და ლაზიკის მშენებლობა და ჭაობების ამოშრობა ძალიან უარყოფით ეფექტს მოიტანს იქაური ეკოკლიმატისთვის. ამის გაკეთება არ შეიძლება ასე ხელაღებით, მაგრამ დღეს ამას ხომ არავინ არ უყურებს. ისევე, როგორც არავინ ფიქრობს იმაზე, კაშხლების მშენებლობა როგორ შეცვლის ჩრდილოეთის კლიმატს. ყველაფერი ხომ არ შეიძლება ფულზე იყოს გათვლილი. ერთხელ ბენდუქიძემ თქვა, ყველაფერი შეიძლება გაიყიდოს, სინდისის გარდაო და მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრმა მათგანმა ჯერ სინდისი გაყიდა და მერე დაიწყო საქართველოს გაყიდვა. არ შეიძლება ისე ექცეოდე ქვეყანას, როგორც სააუქციონო ნივთს.

***– მცირე დრო რჩება არჩევნებამდე და როგორია თქვენი პროგნოზი, რას უნდა ველოდოთ?***

– რასაკვირველია, ძალიან მძაფრ შემოდგომას ველი. ჩვენი ხელისუფლება ისე მოქმედებს, რომ ეჭვების საფუძველს აძლევს ხალხს. ეჭვები ჩნდება და ეს ეჭვი ყოველდღე იზრდება. ასევე ყოველდღიურად იზრდება დიდი პროვოკაციის ეჭვი. მაგალითად, ის, რაც თიბილოვმა განაცხადა, მე პირადად ვიცნობ თიბილოვს და შემიძლია გითხრათ, რომ არ იყო ეს კაცი ამისი მთქმელი ვიღაცის დარიგების გარეშე. რაზე იყო მისი ნათქვამი ორიენტირებული? ის, რომ ქართულ სოფლებს მიწასთან გაასწორებს და ინდუსტრიულ ცენტრებს და სასოფლო სამეურნეო მოედნებს ააშენებს. ჯერ ერთი, რისი ამშენებლები არიან და რა ინდუსტრიაზეა ლაპარაკი, პურის ქარხანა ვერ აუმუშავებიათ. ეს ყველაფერი არის სხვის მიერ ნაკარნახევი. ვინც უკარნახა, მისი ნათქვამი რეაქციაზე იყო განსაზღვრული, დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის რეაქციაზე, რომ ეს ხალხი გაღიზიანდებოდა და გაგიჟდებოდა, ამას რომ გაიგებდა. იქნებ ვიღაცას აწყობს, სპეციალურად რომ გაღიზიანდეს საზოგადოება და ნიადაგი მომზადებული იყოს ახალი საომარი მოქმედებებისთვის. რამდენად ზუსტია ვერ გეტყვით, მაგრამ დღეს შემატყობინეს კონფლიქტის ზონის ერთ-ერთი სოფლიდან, კნოლევიდან, რომ იქ, საზღვართან მძიმე ტექნიკა მოუყენებიათ ოსებს და ხალხი სოფლიდან გასვლას აპირებსო. არავითარ შემთხვევაში ვინმემ არ გაიგოს ჩემი ნათქვამი ისე, რომ პანიკას ვთეს. უბრალოდ ვფიქრობ, რომ ეს არ ხდება უბრალოდ. არ ხდებოდა შემთხვევით, ღრონის ხეობაში რომ შევიდა მძიმე ტექნიკა სოფელ მეჯვრისხევთან. არ ხდებოდა ეს შემთხვევით, რაღაც დიდი თამაში მიდის, რომელიც გარკვეულ შედეგებზეა ორიენტირებული. იმისა არ იყოს, რომ გავრცელდა პანიკური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცხინვალი იცლება ხალხისაგან და აქედან გამომდინარე, რაღაცისთვის ემზადება ცხინვალი და იქ განლაგებული რუსული სამხედრო ფორმირებები. მერე გავარკვიეთ, რომ ეს ყოფილა ჩვეულებრივი გასვლა ბავშვების დასასვენებლად ჩრდილოეთ კავკასიაში და გარდა ამისა, ცხინვალში იმდენი ხალხია, ყოველ საღამოს სკვერებში ადგილი არ არისო. ეს ყველაფერი არის ერთი პროვოკაციული პროცესის ჯაჭვი. ფრაგმენტები, რომელიც საბოლოო ჯამში, ვშიშობ, რომ არ შეიცვალოს სერიოზული პროვოკაციით, რომელმაც შეიძლება სისხლის ღვრა და კიდევ ომი გამოიწვიოს.

***– ამის საფრთხეს ხედავთ?***

– ვხედავ, რასაკვირველია. ეს არის ზოგადი ინფორმაცია, რომელიც ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის და იწვევს პირადად ჩემს და საქმეში ჩახედული ხალხის შეშფოთებას. ეს ხდება არჩევნების წინ, მაშინ, როდესაც გამძაფრებულია აღქმადობა ნებისმიერი ისეთი წვრილმანისა, რომელსაც სხვა დროს შეიძლება არანაირი ყურადღება არ მიქცეოდა. ასე რომ, პროვოკაციის საფრთხე დიდია.

# ივანიშვილმა ზოგი პარტია შეიწოვა, ზოგი დაშალა



თამარ ნინიძე

**ამ კვირის ბოლოს სააკაშვილმა რუსთავში კიდევ ერთხელ უთხრა ქართველებს, მართალია, ბევრ თქვენგანს არ მოგწონვართ, მაგრამ ეს არაფერია, „ჩვენ ვაპირებთ, რომ საქართველო შემდეგი მრავალი წლის განმავლობაში ვაშენოთ". ეს ფრაზა იმას ნიშნავს, რომ ვარდების რევოლუციის იდეა დამარცხდა პირველ რიგში დასავლეთისთვის. საქმე ისაა, რომ როცა მიხეილ სააკაშვილს დასავლეთი მხარს უჭერდა და მის რევოლუციასაც აფინანსებდა, ის ვარაუდობდა, რომ სააკაშვილის სახით ჭეშმარიტი დემოკრატი ეყოლებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში, მაგალითად, ორი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ იტყოდა, რომ მისი პერსონალური მართვა დასრულებულია და თავისი პარტიის რომელიმე ახალ სახეს წარადგენდა საპრეზიდენტო ან საპრემიერო პოსტზე, რა თქმა უნდა, პატიოსან არჩევნებში მოგების შემთხვევაში. სინამდვილეში დღეს დასავლეთს ჰყავს არა დასავლური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ტიპური დემოკრატი, არამედ არაბული გაზაფხულის მსგავსი მოვლენების მაპროვოცირებელი სუბიექტი კავკასიის რეგიონში, რომელიც, მუბარაქის, კადაფისა და სირიის მმართველის მსგავსად, ათეული წლის განმავლობაში იქნება სახელმწიფოს სათავეში.**

ამ უკიდურესად მძიმე ვითარებაში ქართული ოპოზიცია, სამწუხაროდ, ამბიციებზე უარს ვერ ამბობს და ვერა და ვერ ერთიანდება. ერთობის ფრონტი ვერ შედგა მხოლოდ იმიტომ, რომ დაშვებულია რამდენიმე სერიოზული შეცდომა, რაც შესაძლოა 1 ოქტომბრის შემდეგ საბედისწეროც გახდეს, როცა არჩევნების შედეგები გამოქვეყნდება.

მხედველობაში გვაქვს არა მარტო კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაშვებული შეცდომები, არამედ იმ ოპოზიციისაც, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ ხმების იმ რაოდენობას ვერ მიიღებს, რომელიც ბარიერის გადალახვისთვის სჭირდება, მაგრამ მაინც არ ამბობს უარს მონაწილეობაზე. ეს არ არის სპორტული შეჯიბრება, სადაც გამარჯვებაზე მეტად, შესაძლოა, მონაწილეობას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ქვეყნის მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნული ამბიცია, ვინმე მიიღებს თუ არა დეპუტატის მანდატს და მასთან დაკავშირებულ პრივილეგიებს.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“, მიუხედავად დარეგისტრირებისა და საარჩევნო ნომრის მიღებისა, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ცხადია, ოპოზიციის ნაწილს ეს გადაწყვეტილება გაუხარდა, თუნდაც იმიტომ, რომ ზედმეტი თავის ტკივილი და არასასურველი კონკურენტი მოიშორა, მაგრამ, მეორე მხრივ, სულ ცოტა ხანში გამოჩნდება, რომ ბურჯანაძემ ამ გადაწყვეტილებით არა მარტო კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“ დაუთმო ასპარეზი და ხმები, არამედ სერიოზული არჩევანის წინაშე დააყენა დანარჩენი ოპოზიციური სპექტრიც, რომ ხმების გაყოფის ნაცვლად პირადი ამბიცია უნდა დათმო ზოგჯერ და უკან დაიხიო იმისათვის, რომ რეჟიმის დასრულებისკენ მიმართული ქმედებები რეალური გახადოს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა გუბაზ სანიკიძემ ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილებას გონივრული უწოდა. ჟურნალ „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამ თემაზე მან განაცხადა, რომ ბურჯანაძე არ მიდის ოპოზიციური ხმების ფრაგმენტაციაზე და რომ სამომავლოდ არჩევნებზე ოპოზიციური ხმების სრული მობილიზაცია გაყალბების ალბათობას მინიმუმამდე დაიყვანს.

საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა კახი კახიშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბარში ზუსტად განმარტა ბურჯანაძის გადაწყვეტილების მოტივაცია: „რამდენი ხმაც არ უნდა აელო ბურჯანაძეს, ეს ხმები მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილთა ხმები იქნებოდა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დააკლდებოდა და არა ნაცმოძრაობას. ამ გადაწყვეტილებით ბურჯანაძე საზოგადოების თვალში პოზიტიურ როლში გამოვიდა. იმ შემთხვევაში, თუ კოალიციამ ვერ შეასრულა ხალხისთვის მიცემული დანაპირები პარლამენტში უმრავლესობით მოსვლასთან დაკავშირებით, ბურჯანაძეს ექნება სათქმელი, რომ ამ მიზნის მიღწევაში მას „ქართული ოცნებისთვის“ ხელი არ შეუშლია“.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აღნიშნავს, რომ თუ დადასტურდება ის ფაქტი, რომ საქართველოში შეუძლებელია ნაცმოძრაობის პირობებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ამით ბურჯანაძის პოზიციის სისწორე დამტკიცდება და, სავარაუდოდ, მომავალ პოლიტიკურ პროცესებში მას გაცილებით მეტი მხარდაჭერა ექნება საზოგადოებაში, ვიდრე დღეს აქვს.

სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმაც მოიწონა ეს გადაწყვეტილება და ამ ვითარებაში ეს ნაბიჯი ღირსეულად შეაფასა. „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრმა ვახტანგ ყოლბაიამ „ახალ თაობასთან“ საუბარში აღნიშნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილი არ იყო, მით უმეტეს მაშინ, როცა „დემოკრატიულ მოძრაობას“ მონაწილეობა არც ადგილობრივ არჩევნებში მიუღია. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად უკანდახევაა, რადგან პარტიები არჩევნების პროცესში იწვრთნებიან და გამოცდილებას იძენენ, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების წინ „დემოკრატიული მოძრაობა“ დანარჩენ ოპოზიციას მოუწოდებდა, სარჩევნო კოდექსთან მიმართებით მეტი პრინციპულობა გამოეჩინა.

„15-17%-ის მიღებას ვვარაუდობდით, მაგრამ საზოგადოების დაკვეთა გაცილებით მეტი იყო და ეს სრულიად ოპოზიციის ერთობასა და ერთიანი ბლოკით არჩევნებში მონაწილეობას გულისხმობდა. სამწუხაროდ, ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა და ეს ერთიანი ბლოკი ვერ შედგა“, – აღნიშნა ყოლბაიამ.

ზოგადად პოლიტიკურმა სპექტრმა და ექსპერტებმაც ეს გადაწყვეტილება პოზიტივად ჩაუთვალეს ბურჯანაძეს. მაგალითად, კახა კუკავაც კი, რომელიც დიდ ხანს ელოდა ბურჯანაძის გადაწყვეტილებას ბლოკში მასთან გაწევრიანებაზე, აცხადებს, რომ ეს არის ღირსეული და პატივსაცემი გადაწყვეტილება.

საინტერესო იყო „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილის შეფასება, როცა მან „დემოკრატიული მოძრაობის“ არჩევნებში მონაწილეობის უარის თაობაზე მოისმინა. ივანიშვილის შეფასებით, ბურჯანაძე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსი და პატრიოტია, მასთან დაკავშირებით არსებულ კითხვებს კი საბოლოოდ გაეცა პასუხი. ივანიშვილის ამ კომენტარამდე კი უცნაური შეფასება გააკეთა მანანა კობახიძემ, როცა „დემოკრატიული მოძრაობის“ ამ გადაწყვეტილებას თითქმის მთელი საზოგადოება დადებითად შეხვდა, მისი კომენტარი ძალიან უცნაური აღმოჩნდა. როგორც მან თქვა, სხვა ოპოზიციური ძალები კარგად იაზრებენ, რომ „ქართული ოცნება“ ძლიერი ძალაა, რაც შეეხება ბურჯანაძის გადაწყვეტილებას, ეს მისი ნებააო. სავარაუდოდ, ივანიშვილის შეფასება რომ მოესმინა, კობახიძე ასეთ კომენტარს არ გააკეთებდა.

მედიაექსპერტმა ნანა დევდარიანმა სწორი აქცენტები გააკეთა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოსვლის დღიდანვე ახერხებდა, პარტიების ნაწილი შეეწოვა, ნაწილი დაეშალა, ნაწილის სრული დემორალიზაცია მოეხდინა, სახალხო კრების შემთხვევაში ასე არ მოხდა. „ბურჯანაძე მინუს მთელი ოპოზიცია“ ამ ფორმულამ, დევდარიანის აზრით, არ იმუშავა. დღეს „დემოკრატიულ მოძრაობას“ არც ბოიკოტისკენ მოუწოდებია, როგორც ადრე ლეიბორისტულ პარტიას. ბოიკოტის იდეა საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით წარმატებული არ არის და ეს ლეიბორისტების მწარე გამოცდილებამაც დაადასტურა. პირიქით, 1 ოქტომბერს იმავე „დემოკრატიული მოძრაობის“ მოწოდებით არჩევნებზე ყველა უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთთან.

ბიძინა ივანიშვილს კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, მთელი ოპოზიციური სპექტრი მის გარშემო შემოეკრიბა. ამ შემთხვევაში ხმების გაყოფაზე ამდენი საუბარი აღარ იქნებოდა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნებოდა ისიც, რომ არ გაივლებოდა სიმბოლური წითელი ხაზი ე.წ. ფსევდოოპოზიციონერებსა და ნამდვილ ოპოზიციონერებს შორის. ივანიშვილს თანამშრომლობა ქრისტიან-დემოკრატებისთვის, ახლებისთვის, ედპ-სთვის და თორთლაძის პარტიისთვისაც უნდა შეეთავაზებინა. როცა ის ოქტომბრის დასაწყისში პოლიტიკაში შემოდიოდა, ნაციონალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აგორებული ანტიპიარი რუსეთთან მის საეჭვო კავშირებზე, ამიტომ დასავლური ორიენტაციის ზემოთ ხსენებული პარტიები ივანიშვილთან თანამშრომლობაზე უარს არც ერთი მოტივით არ იტყოდნენ, უარის შემთხვევაში კი გაირკვეოდა, რომ არიან პოლიტიკაში ხელისუფლების მხარდამჭერი პარტიები. მოკლედ, ივანიშვილის ეს შეცდომა საარჩევნო პროცესში კიდევ უფრო გამოიკვეთება, როცა ამომრჩეველი დაინახავს ხმების გაყოფის არაერთ ფაქტს. ივანიშვილს ძველი წყენა ლეიბორისტების მიმართაც უნდა დაევიწყებინა. ჯობდა, მშრომელთა პარტია მის გვერდით დამდგარიყო და ხმების გარკვეულ რაოდენობას ისიც მოუტანდა.

დღეს ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნებში 40%-ის მიღების თაობაზე აცხადებს, რომ ეს იქნება ყველაზე არასასურველი შედეგი, რაც, რასაკვირველია, ასეც არის, ვინაიდან ივანიშვილი პოლიტიკაში მოდიოდა სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნის დაპირებით. საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაშიც კოალიცია „ქართული ოცნების“ წინაშე სერიოზული საფრთხე ჩნდება, ოპოზიციის გამარჯვების პირობებში პრეზიდენტი ერთი წლით ისევ სააკაშვილი იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, შეეცდება, გამოიყენოს საბაბად მისი მთავრობის არდამტკიცება პარლამენტის მიერ და პარლამენტს დაითხოვს. ამიტომ უმრავლესობის მიღების შემთხვევაში კოალიციამ არ უნდა დააყოვნოს და პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები დაიწყოს ანუ სააკაშვილს დაასწროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილი თავისი პერსონით მუდმივად ხელს შეუშლის ივანიშვილს, მეტიც, პრეზიდენტი პრემიერად მის კანდიდატურას არ დაუჭერს მხარს. ამიტომაც იყო, რომ ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ და სახალხო კრება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ, ამ მოთხოვნაში სრულიად ოპოზიციას რომ გამოეჩინა ერთსულოვნება და მთელი თბილისი ფეხზე დამდგარიყო, სააკაშვილი შესაძლოა დღეს პრეზიდენტი არ ყოფილიყო. უკიდურესად გამწვავებული მდგომარეობის პირობებში კი, სამწუხაროდ, მივიღებდით არაბული გაზაფხულის მსგავს სურათს. არაერთი ექსპერტის მიერ გამოითქვა გარკვეული შიშები კოალიციისთვის ხმების წართმევის შემთხვევაში განვითარებული სცენარის თაობაზე.

1 ოქტომბრის შემდგომი პერიოდი საზოგადოებასაც აშინებს. ამიტომაც ძალაუფლების ჩამორთმევა ერთი ადამიანისთვის – მიხეილ სააკაშვილისთვის – ეს უნდა ყოფილიყო მთელი ოპოზიციური სპექტრის ბრძოლისა და მოქმედების მიზანი.

## მანანა ელიაშვილი: „ფსევდო ინფო9“ სააგენტოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას ცდილობს

სააგენტო „ინფო9“-ს მიმსგავსებული საინფორმაციო პორტალის Iნფო9.ცომ.გე -ს შექმნას სააგენტოს დირექტორი მანანა ელიაშვილი კანონდარღვევას უწოდებს.

როგორც ელიაშვილმა „ნიუსპრესს“ განუცხადა, დარღვეულია საავტორო უფლებები, მოპარულია სასაქონლო ნიშანი, სლოგანი, სააგენტოს დიზაინი, ვებ-გვერდის სტრუქტურა და ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ „ინფო9“-ის მომხმარებელი.

„ამ საკითხზე მუშაობენ იურისტები და იმედი მაქვს, მალე მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, რომ ეს უკანონობა აღიკვეთოს“ – აღნიშნა ელიაშვილმა.

მისი თქმით, ამ დროისთვის მოწმდება ინფორმაცია „ფსევდო ინფო9-ის“ წარმომადგენლების მიერ სააგენტო „ინფო9“-ის სახელით პროვოკაციების მოწყობის შესახებ.

ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ელიაშვილი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს კრიმინალურ და დასჯად ქმედებას, რის შესახებაც სააგენტო დღეს განცხადების გავრცელებას გეგმავს.

„ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რამდენად სერიოზულ საქმეს აკეთებს „ინფო9“. ერთადერთი, რითაც ვაპირებთ მათ დავუპირისპირდეთ, ესაა უფრო კარგად მუშაობა“ – აღნიშნა ელიაშვილმა.

ახლადშექმნილი ვებ-პორტალის გვერდზე გუშინ განთავსდა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ინფო9.კომ.გე-ს დამფუძნებელი არის ტელეკომპანია „რეალტვ“-ს ყოფილი ვიდეომონტაჟე გიორგი ალთუნაშვილი. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ პორტალი შეისყიდის ნებისმიერ სკანდალურ ვიდეომასალას კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილისა და წევრების შესახებ, რათა „ეს მასალები საბოლოოდ თავად ბიძინა ივანიშვილს რამდენიმე მილიონად მიყიდოს“.

თავად „ინფო9“-ში აცხადებენ, რომ ახალ ვებპორტალზე ატვირთულია „რეალ ტვ“– სა და „აიტივი“-ზე უკვე გამოქვეყნებული მასალები.

ნიუსპრესი

## „ქართული ოცნების“ ანგარიშზე არსებული თანხა სახელმწიფოს მიერ სრულად ჩამოიჭრა

კოალიცია „ქართული ოცნების“ ბრენდირებული მაისურების შემოსატანად საბაჟო მოსაკრებლის გადასახადი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღამსრულებელმა მდივანმა ნოდარ ხადურმა საკუთარი სახელფასო ანგარიშიდან გამოიტანა.

„ქართულ ოცნების“ ცნობით, კოალიციაში შემავალი სხვა პოლიტიკური სუბიექტების მსგავსად, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დაყადაღებულ ანგარიშებს ინკასო დაედო.

აღსრულების პროცედურა პარტიის ანგარიშებზე დღეს დაიწყო, რის გამოც პოლიტიკურ სუბიექტს წინასაარჩევნო აქტივობებისთვის ფინანსური ოპერაციების განხორციელება შეეზღუდა.

„ჩვენმიზერული თანხა გვქონდა გადასახდელი, რათა გაფორმების ეკონომიკური ზონიდან გამოგვეტანა „ქართული ოცნების“ ბრენდირებული მაისურები. სამწუხაროდ, ეს თანხა ანგარიშზე აღარ გვქვს, რადგან აღმასრულებლების გადაწყვეტილებით, ჩამოჭრილია. ამიტომ გადავწყვიტე, თანხა ჩემი სახელფასო ანგარიშიდან გამომეტანა“ – აღნიშნა ხადურმა.

ნოდარ ხადურმა პირადი სახელფასო ანგარიშიდან საბაჟო მოსაკრებლის გადასახდელად საჭირო თანხა – 330 ლარი გამოიტანა.

კოალიციაში აცხადებენ, რომ ამჟამად საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ყველა პოლიტიკური პარტიის ფინანსური ანგარიშები დაყადაღებულია, რის გამოც ბლოკს სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება არ ექნება.

ნიუსპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ შეამცირა სააკაშვილმა პატრული



შორენა კოწოწაშვილია

**[რ]ოგორ მოხვდა [ა]ფციაური დიდგორის [მ]ემორიალთან [ე]რთადერთი [მ]ოღალატის რანგში და [რ]ოგორ შეეპარა ის [პ]ოლიციას? — ამ [კ]ითხვების ირგვლივ [გ]თავაზობთ ინტერვიუს [ა]დვოკატ ლალი [ა]ფციაურთან.**

*–ქალბატონო ლალი, რამდენად ...გრძნობა ქვეყანაში, რომ რეალურად ...ნდა გარდატეხა და საზოგადოებამ ...არი უთხრა სააკაშვილს და მის ხელი...უფლებას?*

– პირველ რიგში, მინდა პოლი...კურ სიტუაციაზე გავამახვილო ყუ...დღება. იცით, რომ ფაქტობრივად ...989 წლიდან აქტიურად თუ არა ვარ ...თული, ყოველ შემთხვევაში, ვაკ...რდები მაინც ქვეყანაში მიმდინარე ...ლიტიკურ მოვლენებს და ინფორმა...ებიც საკმაოდ მაქვს. მიმაჩნია, რომ ...ული ქაოსია ანუ დაბალანსებული ...ლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში არ ...ის შექმნილი. ალბათ, სიტუაცია ...ნელა დალაგდება. ეს აუცილებე...ა, რადგან დღეისათვის ბევრი რამ ...ურკვეველია და ეს ოპოზიციური ...ანგისთვის ძალიან ცუდია. გაურ...ველია, ვინ სად, როგორ და რისი ...დით აპირებს ბრძოლას. და რაც ...ვარია, რამდენად აწყობს ის შედე..., რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნე...ს შედეგად დაიდება, თუ ეს ქაოტუ...ი სიტუაცია სასწრაფოდ არ მოწეს...გდა. ანუ უნდა გამოიკვეთოს, რო...ლ ფიქრობენ არჩევნების მოგებას ...დროს, როდესაც უკვე დაიდო ამომ...ველთა სია და გამოიკვეთა, რომ ...ურმე 3 მლნ ამომრჩეველი გვყოლია. ...მოდის, ისე გავმრავლებულვართ ამ ...ულე პერიოდში, რომ უკვე 3 მლნ ...მომრჩეველი გვყავს. ამით შეიძლება ...ვე დღეს ითქვას, რომ კომისიის მი...ღებული საარჩევნო სიებით ოქ...ომბრის საპარლამენტო არჩევნები, ...აქტობრივად, უკვე გაყალბებულია. ...პირადად, ამისაგან დამცავ მექა...იზმს ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ პოლი...იკურ პარტიას, რომელიც შთაბეჭ...დილებას მიტოვებდეს, რომ ამ არჩევ...ებში მართლა ბრძოლას აპირებს. ერ...თადერთ ასეთ პარტიად კახა კუკავას ...თავისუფალი საქართველო მესახება ...პარტიის ლიდერმა არჩევნებში დახ...მარება რომ მთხოვა, უარი ველარ ვუთ...ხარი. რაც შეეხება პოლიტიკურ სი...ტუაციას, შეიცვალა თუ არა, რა თქმა ...უნდა, უკვე აშკარად შეიცვალა. უკვე ...აშკარად ფიქსირდება და ამის ალია...რება არავის არ უნდა უჭირდეს, რომ ...ეს ნამყვანი პოლიტიკური ძალა ...არის „ქართული ოცნება“. კოალიცი...ის მხარდამჭერებიც უკვე ღიად ფიქ...სირდებიან. მხარდამჭერთა რაოდენო...ბა, რომ ძალიან დიდია, ეს შეხვედრე...ბიდანაც ჩანს. ეს რომ არ აღიარო, ...ადამიანი მართლა ბრმა უნდა იყო. ივანიშ...ვილის პოლიტიკაში გამოჩენამ რომ ...სიტუაცია ქვეყანაში აშკარად შეცვა...ლა, სახეზეა. ამას ადასტურებს თუნ...დაც ხელისუფლების არაადეკვატური ...ქმედებები. იმიტომ, რომ მმართველი ...პარტიის მთავარი უსტაბაში – პრეზი...დენტი სააკაშვილი უკვე აგონიაშია. ...აშკარად იგრძნობა იგივე მის სატე...ლევიზიო გამოსვლებში და პიარ-აქ...ციებზე გაკეთებულ განცხადებებში.

*—ამ აგონიის შედეგია სააკაშვილის მხრიდან ლიპარიტებსა და მოღალატეებზე მუდმივად აქცენტის გაკეთება? სააკაშვილის აზრით, ვინც მის მხარეს არ არის, ყველა მოღალატეა.*

— რა თქმა უნდა. ხელისუფლების რიტორიკა ყოველთვის ასეთი იყო.



**ადვოკატი ლალი აფციაური აუცილებლად მიიჩნევს ოპოზიციის ლიდერების შეთანხმებას მაჟორიტარებთან მიმართებაში. მისი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია ერთმანეთს ხმებს გაუყოფს, რაც სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს.**

სააკაშვილი ფიქრობს, რომ ყველა მხარს მას უნდა უჭერდეს და ვინც მის პოზიციას არ იზიარებს და მის პოლიტიკას აპროტესტებს, ყველა მოღალატეა. ხელისუფლებისთვის განსხვავებული აზრი ყოველთვის ღალატის ტოლფასი იყო, თუმცა იმას ვერ ხვდებოდა, რომ განსხვავებული აზრის და კრიტიკის გარეშე, როგორ აპირებდა ქვეყნის მართვას. გამორიცხულია, ხელისუფალმა შეძლოს ქვეყნის ნორმალურად მართვა განსხვავებული აზრის მოსმენის გარეშე. სააკაშვილი აშკარად დაფრთხა და ხვალ-ზეგ რას იზამს, არავინ იცის.

*— რა ტაქტიკა არის სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანი ამ წინასაარჩევნოდ, ის, რაც დიდგორობას შემოგვთავაზა?*

—დიდგორის თვითმხილველი მე, პირადად, ვარ. ეს იყო დიდგორობა ნაციონალური მოძრაობისთვის. იცით, რომ მე წარმოშობით თეთრიწყაროს რაიონიდან ვარ და იმ დღეს მანგლისში, ჩემს სახლში ვიმყოფებოდი. გადავწყვიტე შვილიშვილებთან ერთად ავსულიყავი დიდგორზე. ვინაიდან მანქანით მანგლისის მხრიდან შემოვედი ცენტრალურ გზაზე, გადასახვევთან რომ მივედი, პოლიციის კორდონი დამხვდა. მეორე მხარეს იყვნენ ახალგაზრდები „ქართული ოცნების“ მაისურებით. ვიფიქრე, საცობია ბევრი მანქანების გამო და ვილაცას ელოდებიანმეთქი. ჩემ წინ მიდიოდა დელეგაცია აზერბაიჯანული ნომრებით და საკმაოდ ძვირადღირებული მანქანებით. მეც ამ კოლონაში ვიდექი. ალბათ, ეს გახდა მიზეზი ჩემი არგაჩერების. ასე გამომივიდა იმ „აკრძალულ“ ზონაში შეპარვა. მე მეგონა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი პიკეტი, ჩვეულებრივი მოწესრიგება მანქანების გადაადგილების, რათა საცობი არ ყოფილიყო. იმიტომ, რომ ყველა დიდგორობა დღეს უამრავი ადამიანი მოდის დიდგორზე, ეს სახალხო დღესასწაულია. ვიფიქრე, ამდენი პოლიციელი იმიტომ დგას, გზაზე საცობი არ მოხდეს-მეთქი. პირველი კორდონი რომ გავიარე, ერთი კილომეტრიც ისე გავიარე, რომ გზაზე მხოლოდ დაქირავებული ავტობუსები და ნაციონალური მოძრაობის საპიარო მაისურებიანი ადამიანები მხვდებოდნენ. კიდევ უფრო ზევით რომ ავედი, ვხედავ, უამრავი ადამიანია ნაცმოძრაობის 5 ნომრიანი ჩაცმულობით. ვერც ერთი ადამიანი ვერ დავინახე სამოქალაქო ტანსაცმელში. და ვერც ადგილობრივი გლეხი შევნიშნე, რომლებიც მუდმივად ადიან ამ ადგილას დიდგორობა დღეს. სანამ მემორიალთან არ ავედი და მეორე პიკეტი არ გავიარე, ბოლომდე ვითარებაში ვერ გავერკვიე. მეორე პიკეტზე პოლიციელი მეუბნება, ამის იქით ვერ წახვალ, სიები გვაქვს და მხოლოდ სამსახურებრივი მანქანები შედიანო. მითხრა, მანქანა გადააყენეო. მანქანა მართლაც გადავაყენე, მაგრამ არ დავემორჩილე, გორებზე გადავედი და ბოლომდე ავედი. ნაცნობმა პოლიციელებმაც შემნიშნეს, თუმცა არ გამაჩერეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მემორიალთან მივედი. როცა მივიხედ-მოვიხედე, მაშინ მივხვდი, სადაც მოვხვდი. ერთადერთი განსხვავებული აზრის მქონე ანუ „მოღალატე“, როგორც სააკაშვილი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს მოიხსენიებს, მე ვიყავი და ჩემი ახლობლები ვიყავით იმ დღეს დიდგორის მემორიალთან. წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, რომ ადამიანებისთვის შეეზღუდათ სახალხო დღესასწაულზე მისვლა. ამ დროს მოფრინდა სააკაშვილის ვერტალიოტიც. მინდა გითხრათ, რომ ამოყვანილი იყო მძიმე ტექნიკა, რომელზედაც პულიმიოტები იყო მომართული და ვერ მივხვდი, რისთვის იყო ეს ყველაფერი. ვიფიქრე, ლაზიკა რომ გააკეთეს, ამის პიარს აკეთებდნენ. არა. თურმე პრეზიდენტი რომ მოფრინდა, ეს ყველაფერი მის დასახვედრად გაკეთდა. ბოლომდე სიტუაციაში მაშინ გავერკვიე, სააკაშვილმა გამოსვლა რომ დაიწყო. მაშინვე უკან გამოვბრუნდი და ისევ იმ პიკეტებით გამოვიარე.

*— რა იყო ის, რაც დიდგორზე მოხდა, მორიგი დიდგორის გამარჯვება სააკაშვილის მხრიდან საკუთარ ხალხზე?*

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე მგონი, სააკაშვილს ერთი ადგილი სჭირდებოდა ისეთი, სადაც მას ხელს არავინ შეუშლიდა და იმას გააკეთებდა და იტყოდა, რაც უნდოდა. ანუ შინაგანად იზეიმებდა ამ გამარჯვებას.

*— კი მაგრამ, რომელ გამარჯვებას იზეიმებდა?*

— ალბათ საკუთარ თავზე გამარჯვებას. სააკაშვილს არ უნდოდა ამ დღეს განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანები დაენახა და ამიტომ მხოლოდ ტაშისმკვრელები შემოიკრიბა.

*—ქალბატონო ლალი, თქვენ საუბარში ოპოზიციის ქმედებების მიმართ უკმაყოფილება გამოკვეთეთ. რას უწუნებთ ოპოზიციურ პარტიებს და იგივე „ქართულ ოცნებას“?*

— არაშეთანხმებულ მოქმედებებს. მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიები გარკვეულ საკითხებში, თუნდაც იგივე მაჟორიტარებთან დაკავშირებით, უნდა თანხმდებოდნენ. მარტო „ქართული ოცნება“ არ არის და მარტო ამ პარტიის მაჟორიტარები არ არიან ასარჩევი. მე, მაგალითად, მაჟორიტარად რომ მივილო მონაწილეობა თეთრიწყაროს რაიონში, გამოდის, ოპოზიციას და იგივე „ქართულ ოცნებას“, ხმებს ვუყოფ. ეს მე არ მინდა, მაგრამ არასწორი პოზიცია აირჩია კოალიციამ. ამასობაში ღიად უნდა ვთქვა, წარმოდგენილ მაჟორიტარებს შორის ჩემზე მეტი ოპოზიციონერი არა მგონია, ვინმე იყოს. რატომ უნდა მაიძულებდეს ვინმე, რომ ხმა გავუყო „ქართულ ოცნებას“. ეს ძალიან დასაფიქრებელი და მტკივნეული საკითხია ბევრისთვის. ხომ უნდა იყოს მაჟორიტარების საკითხი შეთანხმებული, რომ ხმები არ დაიკარგოს და ხელისუფლება მართლაც დავამარცხოთ.

*— ანუ, თქვენი აზრით, ივანიშვილმა და მისმა კოალიციამ შეცდომა დაუშვა, როცა კუკავა-ასათიანი-შაშიაშვილის სამეულის შეთავაზება არ მიიღო მაჟორიტარებთან მიმართებაში?*

— რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა. თუმცა მხოლოდ ეს არ არის შეცდომა. თავიდანვე არასწორი ნაბიჯი გადაიდგა – არ შეიძლებოდა ადამიანების ასე დაყოფა. თუ მტერი გყავს ხელისუფლების სახით, ყველა ერთად უნდა დადგეს მის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმიტომ, რომ ძლიერია დღეს ხელისუფლება. მას აქვს სახელისუფლო რესურსი, დიდი ფინანსები და ძალოვანი უწყებები. მათ ხელშია სასამართლო. სწორედ სასამართლოს მეშვეობით გააკოტრეს ივანიშვილი თავისი უკანონო ქმედებებით. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ბრძოლა უნდა იყოს ერთიანი, თუ გვინდა, რომ ეს ხელისუფლება გავუშვათ.

*— თქვენი საუბრიდან გამოდის, ივანიშვილმა თავის სტრატეგიას უნდა გადახედოს. ასეა?*

— რა თქმა უნდა. არა მარტო სტრატეგიას, მე ვფიქრობ, თავის გარემოცვას და მაჟორიტარებსაც უნდა გადახედოს. ეს არ არის საწყენი. ამას არც საწყენად ვამბობ და არც კრიტიკის სახით. ეს სტრატეგია უნდა გადაიხედოს, თუ შედეგი გვინდა. მე მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მტერი ერთია.

*— ფიქრობთ, რომ გარკვეულ რაიონებში წარდგენილი მაჟორიტარები „ქართულ ოცნებას“ თუნდაც იგივე პარტიულ შედეგებს გაუფუჭებენ და სათანადო ხმებს ვერ მიიღებენ?*

— არ არის გამორიცხული.

*—მოდით, ძალოვანებში შექმნილ ვითარებაზე ვისაუბროთ. მძღოლებმა შენიშნეს, რომ ქალაქის ქუჩებში პატრული შეცოტავდა. არის ინფორმაციები, რომ პოლიციიდან ბევრს უშვებენ. ეს რაზე მიანიშნებს და პირადად, რა ინფორმაციას ფლობთ, მართლა ტრიალებს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების სუნი?*

— რიტორიკა ამ ხელისუფლებას არამარტო სამოქალაქო ომის აქვს. ნამდვილად საომარი რიტორიკა აქვს. ეს ფაქტია. ალბათ, რომ არა ზოგადად რაღაცის შიში, ალბათ, კიდევ დაგვამხობდნენ ამ ქვეყანას თავზე. რაც შეეხება პატრულის შემცირებას, ვფიქრობ, სააკაშვილმა პოლიციის ბიუჯეტი შეამცირა და ამ სოლიდური თანხის საარჩევნოდ გამოყენება სურს. დღეს რა ნაბიჯებსაც დგამს იგივე „ქართული ოცნების“ მიმართ, რაც აბსოლუტურად უკანონოა, სწორედ ივანიშვილისგან ფულის ამოღებას ემსახურება და ამ თანხებით ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. სახელმწიფო ბიუჯეტი გამოყენებული იქნება ჩამრიცხავის საწინააღმდეგოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი პოეტის ლექსები თურქულად თარგმნეს

## როგორ მოხვდა გიორგი რამაზაშვილი თურქეთში

თეა მარხვაიძე

**ახალგაზრდა პოეტი გიორგი რამაზაშვილი რამდენიმე წლის წინ საქართველოდან თურქეთში წავიდა სამუშაოდ. აქაური გაჭირვებას გაქცეულს, იქ, სხვებთან ერთად, ბევრი სირთულის გადალახვა მოუწია. ახლა იხსენებს, რომ ზოგიერთ სამსახურში მათ მონებივით ამუშავებდნენ.**

სამაგიეროდ, კარგად ახსოვს სტამბულში გახსნილი ქართული კულტურის ცენტრი, სადაც თურქეთში მცხოვრები ქართველები იკრიბებოდნენ. ისინი იქ ქართულ ენას, სიმღერას და ცეკვებს სწავლობდნენ. თურქეთში მცხოვრები ქართველები მალე გიორგის ლექსებსაც გაეცნობიან. მისი ლექსების კრებული თურქულ ენაზეც გამოვა. ამ კრებულში ლექსები თურქულად უკვე ნათარგმნია. გიორგი რამაზაშვილი ლექსებს ძირითადად თუშურ კილოზე წერს. ამბობს, რომ თურქულად სწორედ ასეთი ლექსების თარგმნა გაჭირდა.

კუთხურ კილოზე დაწერილი ლექსები საქართველოში არ უკვირთ. გიორგის შემთხვევაში კი ცოტა სხვაგვარად არის საქმე. გიორგი წარმოშობით ფშაველია. რატომ წერს ლექსებს კუთხურ კილოზე, როგორ მოხვდა თურქეთში, რატომ გაჭირდა მისი ლექსების თარგმნა თურქულად, ამ თემებზე გიორგი რამაზაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გიორგი რამაზაშვილი:**

– არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლექსებს ძირითადად ვწერ თუშურად. ტკივილი, სიხარული, სიყვარული, ყველა ჩემი გრძნობა ასე, ლექსით მინდა გამოვხატო. მაქვს ლიტერატურული ენით დაწერილი ლექსებიც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვწერ თუშურად. ხშირად მეკითხებიან, ფშაველი ხარ და რატომ წერ თუშურადო.

*– ეგ კითხვა ჩვენც დაგვებადა.*

– გვარი მაქვს ფშაური, მაგრამ დედა მყავს თუში ბასხანჯაური. ხანდახან მწყინს კიდევაც, ამას რომ მეკითხებიან. ფშავთან არ მქონია შეხება. სამაგიეროდ, თუშეთში მაქვს გატარებული ცხოვრების დიდი ნაწილი. როგორც ყველანი, ჩვენც გაზაფხულზე მივდიოდით მთაში და შემოდგომაზე ჩამოვდიოდით. ეს კუთხე ძალიან მიყვარს და ეს ყველაფერი ჩემია. ალბათ, ამიტომაც ვწერ ლექსებს თუშურ კილოზე.

*– თქვენი ლექსები ძალიან პოპულარულია ახლა. როდის მოვიდა პოპულარობა, როცა პირველი კრებული გამოვიდა?*

– ჩემი პირველი კრებული გამოვიდა 2007 წელს. იმ დროისთვის მე ახალგაზრდულ ცენტრში ვმუშაობდი. იმ პერიოდში უკვე აქტიურად ვწერდი ლექსებს. 8 მარტი მოდიოდა, იმ დროს დამირეკეს და მითხრეს, რომ თელავის კულტურის ცენტრში ხარ დაბარებულიო. მაშინ პატარა ვიყავი და გამიკვირდა, რატომ დამიბარეს კულტურის ცენტრში. თან ჩემთვის ვფიქრობდი, არაფერი დამიშავებია და რა უნდათ-თქო. ვერც კი დავაკავშირე ეს ყველაფერი 8 მარტთან. აღარ გამახსენდა, რომ ამ დროს კულტურული ღონისძიებები იმართება ხოლმე. იქ შევხვდი ქალბატონ ლია ბადურაშვილს. მითხრეს, რომ 8 მარტს ტარდება სარვამარტო ღონისძიება და იქნებ თქვენი ლექსი წარმოადგინოთო. იმ ღონისძიებაზე გავიცანი ბატონი ვალერიან ქარჩაიძე. ერთი კვირის შემდეგ მირეკავს ქალბატონი ლია და მეუბნება, გამოდი თელავის კულტურის ცენტრშიო. წავედი, ის და ბატონი ვალერიანი დამხვდნენ ერთად. ქალბატონმა ლიამ მითხრა, ამ კაცმა გამოთქვა სურვილი დაასპონსოროს შენი კრებული და წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო. რა თქმა უნდა, არ წავედი წინააღმდეგი. ასე გამოვიდა ჩემი პირველი კრებული. ახლა ჩემი მეორე კრებული მზადდება გამოსაცემად.

*– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ლექსები თურქულადაც ითარგმნა.*

– ასეა.

*– ეს კრებული თურქეთში გაიყიდება ალბათ? რა ტირაჟით გამოვა?*

– კი, თურქეთისთვის არის გათვლილი. ბევრი არ იქნება, სულ 500 ეგზემპლარი გამოვა

*– თურქულად სალიტერატურო ენაზე დაწერილი ლექსები ითარგმნა თუ თუშურ კილოზე დაწერილი?*

– ერთიც და მეორეც.

*– ისე, ალბათ, საინტერესო იქნება თუშურ კილოზე დაწერილი ლექსის თურქული თარგმანი.*

– ნამდვილად საინტერესოა.

*– არ გაუჭირდათ?*

– ცოტა კი. დაწერილი მაქვს ასეთი ლექსი „დე შენად თუშეთ“. ამის თარგმნა ცოტა გაუჭირდათ.

*– მოეწონებათ თურქებს თქვენი ლექსები?*

– ვერ გეტყვით. მაგრამ იქ მცხოვრებ ქართველებს დააინტერესებთ. ისინი იქ მრავლად არიან.

*– თურქეთში როგორ მოხვდით?*

– ისევე, როგორც ყველა, მეც გაჭირვებამ წამიყვანა. აქ სამსახური აღარ იყო, თავი ხომ უნდა მერჩინა და წავედი სტამბულში, სადაც საკმაოდ მძიმე ცხოვრება დამხვდა.

*– რა მხრივ დაგხვდათ მძიმე ცხოვრება?*

– დავიწყე მუშაობა. რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე. ზოგან ისე გვექცეოდნენ, როგორც ნამდვილ მონებს. იქ სამუშაოდ წასული ქართველები ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობენ.

*– ბევრი ქართველია თურქეთში?*

– ბევრი ადამიანია წასული საქართველოდან. ხალხი ლუკმაპურის საშოვნელად ათასგვარ სამუშაოს ასრულებს. მეც ვმუშაობდი და თან ვწერდი ლექსებს. რაღაც დროის შემდეგ გავიცანი ჩემი მოგვარე რამაზ რამაზაშვილი. მას ერთობლივი ქართულ-თურქული ფირმა ჰქონდა. იქ დავიწყე მუშაობა, სადაც ბევრად უკეთესი პირობები იყო. ცოტა ხანში ცირა ჯიოშვილი გავიცანი. ის სტამბულში ქართულ კულტურულ ცენტრს ხელმძღვანელობდა. იქ ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა. ასწავლიდნენ ქართულ სიმღერებს და ცეკვას, ასწავლიდნენ ქართულ ენას.



*– იმ ცენტრში ქართველები მრავლად მოდიოდნენ?*

– კი, ბევრი ქართველი მოდიოდა. მათ შორის ისინი, ვინც იქ დიდი ხანია ცხოვრობს. ამ ადამიანებმა არ იციან ქართული ენა, მაგრამ მთავარია, რომ ისინი სულით დიდი ქართველები იყვნენ. მართლა ლამაზი სანახავი იყო, როგორ დადიოდნენ იქ ქართველები. ამ ცენტრში მუშაობა ძალიან მომწონდა. მერე წამოსვლა მოგვიწია

*– რატომ?*

– მოგეხსენებათ, თურქეთის ხელისუფლებამ მიიღო კანონი. ამ კანონით, იქ მუშაობა 3 თვის მანძილზე შეგვიძლია. მერე უკან უნდა დაბრუნდე და სამი თვე სამშობლოში იყო. მეც წამოვედი და აქა ვარ.

*– კიდევ წახვალთ?*

– ძალიანაც არ მინდა, მაგრამ ალბათ წავალ. ისე, აქ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. ახალგაზრდა მომღერალ ბექა სეხნიაიძესთან ერთად დავაფუძნე თუშეთის აღორძინების ფონდი. გვინდა პოპულარიზაცია გავუწიოთ ამ მხარეს. მის ფოლკლორს და სიმღერებს.

*– ამ მხარეს და მის ფოლკლორს აკლია პოპულარიზაცია?*

– აკლია. მარტო ტურისტების ჩასვლა არაფერს ნიშნავს. სხვანაირად სჭირდება ამ მხარეს პოპულარიზაცია. მისი ფოლკლორი უნიკალურია. ის ყველას უნდა შევაყვაროთ.

გვინდა ფოლკლორული ანსამბლის შექმნაც. ბევრი გეგმა გვაქვს, იმედია ჩვენს საქმეს გავაკეთებთ.

---

# ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართეს



## რა შეცდომა დაუშვა მიხეილ სააკაშვილმა

თეა მარხვაიძე

**გუშინ ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართეს. ჯვრის აღმართვის ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო. პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო. მან აღნიშნა, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა ქართველი ხალხის დიდი ოცნება გახლდათ.**

– დღეს ჩემთვის დიდი დღეა და დღევანდელი დღე ჩემი ბავშვობის ოცნების ასრულებაა. ეს ტაძარი დაანგრია რუსეთის არტილერიამ, სხვა ტაძრებში ფრესკები გადაგვილესეს. არის დრო ქვების გაბნევის და არის დრო ქვების შეგროვების. ჩვენ ახლა გვაქვს საქართველოს აღმშენებლობის დრო. ერთი რამ მინდა ვუთხრა ყველას – ეს აღმშენებლობა ყველას ეკუთვნის. ჩვენ მართლა შევდივართ ოქროს ხანაში. ხალხს ჯერ ძალიან უჭირს, მათ შორის ქუთაისშიც, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ყველაფერი უნდა აღვადგინოთ, ავაშენოთ და ეს არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის კუთვნილება, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის საკითხის პოლიტიზირება მას არ დაუწყია და იყო ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ ტაძარი არ უნდა აღდგეს.

– თუკი რამე შენდება, აღიზიანებთ. ხალხო, რა გაღიზიანებთ, ჟამი გამოცვლის პრეზიდენტებსაც, მთავრობებსაც, ყველას, მაგრამ ეს ხომ დაგვრჩება. ეს ეკუთვნის სრულიად საქართველოს. ეს ეკუთვნის პოლიტიკოსსაც და არაპოლიტიკოსსაც, მორწმუნესაც და არამორწმუნესაც, რადგან ბაგრატი არის ერთიანი საქართველოს სიმბოლო. ეს ერთიანი საქართველოს აღდგენის საწინდარია, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ისევე, როგორც მისი სხვა გამოსვლები, ესეც დიდი ჟრიამულის საბაბი გახდა. ისტორიკოსები და ოპოზიცია პრეზიდენტის ერთმა განცხადებამ გაამხიარულა. სააკაშვილმა თქვა, რომ ბაგრატის ტაძარი თურქებმა დაანგრიეს.

ამ განცხადებას ისტორიკოსი პაატა ბუხრაშვილიც გამოეხმაურა. „ფეისბუქის“ გვერდზე მან განმარტებები გააკეთა.

– ბაგრატის ტაძარი რუსებს არ დაუნგრევიათ (მათ ისედაც საკმაოდ ყოფნით დანაშაული ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინაშე), არამედ 1692 წელს აუფეთქდათ თურქებს, – განმარტავს პროფესორი ბუხრაშვილი.

რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის საკითხის პოლიტიზირებას, ამ თემაზე მართლა მაგარი სკანდალი აგორდა. აქტიურობდა ოპოზიცია. ჩვენს მკითხველს ახსოვს, რომ ტაძრისთვის ლიფტის დაყენებას აპირებდნენ. ბოლოს საქმეში საპატრიარქოც ჩაერია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საგანგებო ბრძანება გამოსცა.

– ვინაიდან მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლის, ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული პროექტის უხეში დარღვევით, ვბრძანებ:

1. ა. წ. 18 ივნისიდან დროებით შეჩერდეს ტაძრის დასავლეთ მკლავში მიმდინარე თვითნებური სარესტავრაციო სამუშაოები;

2. დაევალოს ადგილობრივ მღვდელმთავარს, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი), საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრს მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე;

3. ეთხოვოს ხელისუფლებას, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან თანამშრომლობით მოახდინოს ტაძრის დასავლეთ მკლავში ჩაშენებული ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი, რათა შემდეგ ორმხრივად შეთანხმებული პროექტის მიხედვით გაგრძელდეს სარესტავრაციო სამუშაოები.

4. დაევალოს საქართველოს საპატრიარქოს ხელოვნების, ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოს, განახორციელოს მონიტორინგი აღნიშნულ სამუშაოებზე.

5. ბრძანების შესრულებაზე ზოგადი კონტროლი განახორციელოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი), – აღნიშნულია ილია II-ის ბრძანებაში, რომელიც 16 ივნისით არის დათარიღებული.

ამ ამბიდან ცოტა ხანში ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროებითი შეჩერების შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განცხადება გააკეთა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი ბაგრატისა და გელათის ტაძრების იუნესკოს ძეგლთა ჩამონათვალიდან ამოღების შესახებ ინფორმაცია უარყო.

ბაგრატის ტაძარზე ჯვრის აღმართვამდე 1 დღით ადრე სააკაშვილმა რაბათის ციხე გახსნა. მისი თქმით, რაბათის ციხე ჩვენი აღმშენებლობის ნამდვილი გვირგვინია.

– შეიძლება, ეს ის ციხეა, სადაც მეფე როსტევანი იჯდა, თუმცა, მე არა მგონია, ნესტან-დარეჯანი აქ ყოფილიყო გამოკეტილი, რადგან ქაჯეთის ციხე არ არის.

ეს არის უნიკალური ადგილი, ჩვენი აღმშენებლობის სიმბოლო. ჩვენ მარტო ამას კი არ აღვადგენთ. ჩვენ ჯვარს ვდგამთ ბაგრატზე, ვამთავრებთ ფოთის ტაძარს. აქ აღდგა უძველესი, მე-9 საუკუნის ქართული ეკლესია, სადაც დღეს პირველად აღევლინა წირვა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები მუცოზე, თუშეთში, სვანეთში, ასევე იწყება მაღალმთიან რაჭაში სოფლის აღდგენა.

საქართველოში შენდება ახალი ქალაქები. ბათუმი აღარ არის ძველი ქალაქი, ბათუმი არის ახალი ქალაქი, თელავი იქნება ახალი ქალაქი. მე ვიცი, რომ ძალიან დიდი გაჭირვებაა. როცა სიღნაღისა და ბათუმის აღდგენა დავიწყეთ, იყო გაჭირვება, მაგრამ ახლა ხალხმა გამოიხედა თვალში. ასე იქნება აქაც, – დასძინა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის განცხადებით, მისი მთავრობა ომზე კი არა, მშენებლობაზეა ორიენტირებული.

– ჩემი მოწინააღმდეგეები ამბობენ, ომი ამათ დაიწყესო. შემომხედეთ მე, ვანოს, შეიძლება, ჩვენ გვინდოდეს ომი და ნგრევა, ხალხო? ჩვენთვის არის ყველაფერი შენება. ჩვენთვის არის ყველაფერი ახალი ქალაქები. ლაზიკა მაქვს აშენებული, როგორც შეიძლება, ომი გვინდოდეს? სხვათა შორის, მეუფეებს მინდა ვუთხრა – ბანაა განადგურებული და ჩვენი ინიციატივაა, რომ ახალ ქალაქ ლაზიკაში, რომლის მშენებლობას რამდენიმე დღეში ვიწყებთ, ჩავდგათ ბანას ასლი და ამით მოინათლოს ახალი ქალაქი, რომელიც საქართველოს აღმშენებლობის სიმბოლო იქნება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, საქართველოს ყოველთვის და ახლაც ბევრი მტერი ჰყავს, თუმცა არასდროს შეეგუება იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ვინმეს ფეხქვეშ იყოს გადებული.

---

# „ლეიბორისტებმა“ უწყებათაშორის კომისიაზე ცეზარ ჩოჩელის გადაგომა მოითხოვეს

კანცელარიაში გამართულ უწყებათაშორისი სახელმწიფო კომისიის შეხვედრაზე როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ძირითად პრობლემად განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების მქონე პირების მიერ ამომრჩეველთან სააგიტაციო შეხვედრების ჩაშლის მცდელობებს ასახელებენ.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ლომჯარიამ განაცხადა.

მისი თქმით, დღეს გაიმართა გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მისი თქმით, კოლიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა ყურადღება გაამახვილეს საბანკო ანგარიშების დაყადაღების საკითხებზე, რაც მათივე შეფასებით, უსამართლო ვითარებაში მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ლომჯარიას თქმით, ოპოზიციური პარტიები საუბრობენ მათი აქტივისტების მიმართ ზეწოლის ფაქტებზე. შეხვედრაზე „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებმა, წინასაარჩევნო პროცესზე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ისაუბრეს პოლიტიკური პარტიების აქტივისტების მიმართ მუქარის, პარტიული საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და ზეწოლის ფაქტებზე, ასევე, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე.

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის პაატა ჯიბლაძის თქმით, მან შეხვედრაზე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა. როგორც ჯიბლაძემ აღნიშნა, მისი უშუალო დავალებით რეგიონში „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლების წინააღმდეგ ტერორი მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ეკა ირემაშვილი

# ავთო ვარსიმაშვილი იდიოტობაზე კიდევ ერთ ფილმს იღებს

თავისუფალი და გრიბოედოვის თეატრების ხელმძღვანელი ავთო ვარსიმაშვილი ახალ ფილმზე მუშაობს, რომელიც „იდიოტოკრატიისა“ და „ყველაფერი კარგად იქნებას“ გაგრძელებაა. რეჟისორი აცხადებს, რომ ეს ფილმი ტრილოგიის დასასრული იქნება და მას „კიდევ უფრო დიდი იდიოტოკრატია“ ერქმევა.

რა სიახლეები აქვს კინოსა და თეატრებში რეჟისორს, რატომ არ სურს რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობა და რატომ დასცინის საკუთარ თავს, ამ თემებზე ავთო ვარსიმაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

ავთო ვარსიმაშვილი:

– გრიბოედოვის თეატრმა სეზონი ბათუმში გასტროლებით დახურა. თავისუფალ თეატრში კი სეზონი დავხურეთ 15 ივლისს, თუმცა თეატრმა კიდევ საკმაო ხანს იმუშავა, რადგან რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე ჩვენს თეატრში ახორციელებს ძალიან საინტერესო სპექტაკლს სახელწოდებით „წვიმის გამყიდველი“. თავისუფალ თეატრს ძალიან საინტერესო წელი ჰქონდა, ბევრი პრემიერა გამოვუშვით. წარმატებული გამოსვლები გვქონდა თურქეთსა და ფინეთში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე. თურქეთში წარვადგინეთ „მექანიკური ფორთოხალი“, ხოლო ფინეთში ვითამაშეთ „მიყვარხარ მიყვარხარ, მიყვარხარ“.

*– თქვენ არ დადგამთ სპექტაკლს თავისუფალ თეატრში?*

– ვერ ვდგამ, იმიტომ რომ ფილმზე ვარ ჩართული. სექტემბერში დავიწყებ სპექტაკლის დადგმას, რამდენიმე იდეა მაქვს. ფილმი ზაფხულში დასრულდება და შემოდგომაზე იქნება მისი პრემიერა. საკმაოდ რთული გადასაღები ფილმია, დინამიკური. უკვე გვქონდა აქტიური გადაღებები. ფილმის სავარაუდო სახელწოდებაა „უფრო დიდი იდიოტოკრატია“, თუმცა შეიძლება მერე შეიცვალოს. ამ ფილმს განვიხილავ, როგორც ტრილოგიის მესამე ნაწილს – „იდიოტოკრატია“, „ყველაფერი კარგად იქნება“ და „უფრო დიდი იდიოტოკრატია“. სწორედ ეს ფილმი დაასრულებს ამ ტრილოგიას ჩვენი საზოგადოების იდიოტიზმზე.

*– ნუთუ იდიოტოკრატიაზე კიდევ უფრო დიდი იდიოტოკრატიის გადაღება შეიძლება?*

– კი, მგონია, რომ ეს უფრო დიდი იდიოტოკრატია იქნება, რადგან მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, წინ წავიწიეთ იდიოტოკრატიაში და ამიტომაც ვარქმევ ფილმს ასეთ სახელწოდებას. ფილმზე ძალიან ბევრს იცინებს მაყურებელი და უფრო მხიარული იქნება, ვიდრე წინა ორი ფილმი, თუმცა მხიარული არ ნიშნავს იმას, რომ ეს სამხიარულო ფილმია. გადამღები ჯგუფი იგივეა, ამ ფილმსაც „ფოსტუდიო“ იღებს. ოპერატორია მიხეილ მალაშვილი, მსახიობები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხოლოდ ჩემი ანუ თავისუფალი თეატრის მსახიობები არიან. მთავარ როლებს ასრულებენ გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, მარიამ ჯოხაძე, ბუბა გოგორიშვილი, რომლისთვისაც ეს იქნება დებიუტი კინოში.

*– თქვენს ფილმებში სხვა თეატრის მსახიობებს რომ არ იწვევთ, ეს თქვენი პრინციპია?*

– კი, ეს ჩემი პრინციპია. ამ ფილმებს იმიტომ კი არ ვიღებ, რომ უბრალოდ მინდა ფილმის გადაღება, არამედ ეს არის თავისუფალი თეატრის პროექტი, ოღონდ არა თეატრში, არამედ სხვა სივრცეში. ეს ყველაფერი ემსახურება თავისუფალი თეატრის მსახიობების პოპულარიზაციას. ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა კანის ან ვენეციის ფესტივალის დალაშქვრა ან თუნდაც „ოსკარის“ მოპოვება. მშვენივრად ვიცი, რა რეალობაში მიწევს მუშაობა და რა არის ჩემი ბაზარი, ამიტომ ვქმნი ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის და მასში ჩემი თეატრის მსახიობები მონაწილეობენ, იმიტომ რომ ეს არის გაგრძელება იმ თეატრალური პროცესებისა, რომლებსაც ვაწარმოებ თავისუფალ თეატრში. თუ დააკვირდებით ამ ფილმებს, ისინი უფრო თეატრალურენი იხრებიან, ვიდრე სუფთა კინემატოგრაფისკენ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავ კინორეჟისორზე მეტი ფილმი მაქვს გადაღებული, არასოდეს მიფიქრამს, რომ ვარ კინორეჟისორი. მე ვარ თეატრის რეჟისორი, რომელიც ხანდახან იღებს ფილმებს, ამას ალვიქვამ, როგორც ჩემი თეატრალური პროექტების გაგრძელებას, ოღონდ სხვა ფორმატში.

*– სხვა თეატრებში თუ უშვებთ თქვენს მსახიობებს?*

– გოგა ბარბაქაძე რუსთაველის თეატრში თამაშობს, ჯაბა კილაძე მარჯანიშვილის თეატრშია. მე ვუშვებ, მაგრამ, ეტყობა, თვითონ ვერ მიდიან. ყოველგვარი ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი მსახიობები არიან ყველაზე რეალიზებული და ყველაზე პოპულარული მსახიობები. ამ ქვეყანაში მათზე პოპულარულ მსახიობებს ვერ იპოვით. მათ უამრავი გადაღებები აქვთ, სხვა პროექტებში აქტიურად არიან ჩართული. ეს ნამდვილად მიხარია და ყველანაირად ხელს ვუწყობ. თავისუფალი თეატრი უკვე ვარსკვლავური თეატრია და ამას ხმამაღლა თქმა შეგვიძლია. თქვენ შეგიძლიათ ჩაატაროთ ექსპერიმენტი, შემოხვიდეთ სპექტაკლის დაწყებამდე ჰოლში, სადაც ფოტოები კიდია და გაიგონებთ ყოველდღე ჩურჩულს, ვა, ესეც ამ თეატრშია, ესეც აქ არის, ესეც აქ არისო. ბევრი ხალხი მოდის, რომელიც ერთგული მაყურებელი არ არის და არ იცის, რომ ყველანი ერთ თეატრში არიან, გარდა იმ ერთგული მაყურებლისა, რომელმაც უკვე სახეზეც ვცნობთ.

*– ეს თქვენი გამარჯვებაა?*

– არ ვიცი, რამდენად უნდა ვაქო საკუთარი თავი, მაგრამ მიდგომა აბსოლუტურად სწორია. დღევანდელ სიტუაციაში თეატრი უნდა იყოს ვარსკვლავური შემადგენლობით, იმიტომ რომ მაყურებელი უნდა ცნობდეს შენს მსახიობს. უცნობი მსახიობი მთლად საინტერესო არ არის.



*– ტელეპროექტები დაეხმარა თქვენს ვარსკვლავებს გავარსკვლავებაში?*

– რა თქმა უნდა. უპირველესად ყოვლისა, ეს პროექტები დაეხმარა მათ გავარსკვლავებაში, მაგრამ ისინი ჯერ ჩვენს თეატრში გახდნენ ვარსკვლავები, ძალიან ცნობილნი იყვნენ, მთავარ როლებს თამაშობდნენ და მერე მიიწვიეს ამ ტელეპროექტებში. ტელევიზიას ხომ სხვა ხიბლი აქვს, მას თეატრი ვერასოდეს შეეჭიდება პოპულარობით, თუნდაც აუდიტორიის სიმცირის გამო. სად ის, რომ მილიონი ადამიანი უყურებს და სად ის, რომ ას ორმოცდაათი კაცი. მაგრამ ისინი არ მოხვდებოდნენ იქ, რომ არა თავისუფალ თეატრში, მათ აქ უკვე სახელი ჰქონდათ. მე მხოლოდ მადლობელი ვარ დათო გოგიჩაიშვილის, მაგრამ დააკვირდით, „შუა ქალაქში“ ყველანი იყვნენ თავისუფალი თეატრის მსახიობები, ისევე, როგორც ახლა „ალუბლის ქუჩაა“ დაკომპლექტებული თავისუფალი თეატრის მსახიობებით.

*– სერიალს უყურებთ?*

– არ ვუყურებ, იმიტომ რომ აქაც მყოფნის მათი ყურება.

*– არც „შუა ქალაქს“ უყურებდით?*

– „შუა ქალაქს“ ვუყურებდი და დიდი ხნის მანძილზე ვგულშემატკივრობდი. როცა მოდიოდნენ მსახიობები, შენიშვნებსაც ვაძლევდი. სამწუხაროდ, მერე უინტერესო გახდა ეს სერიალი და ალბათ იმიტომ მოხდა, რომ რესურსი ამოიწურა. ეს ნორმალურია და ამაში კატასტროფა არაფერია. „შუა ქალაქის“ დაწყება და გამოსვლა იყო სერიოზული მოვლენა ჩვენს ტელესივრცეში. „ალუბლის ქუჩისთვის“ კი დრო არ მრჩება, თან წელიწადზე მეტია გადავწყვიტე, ტელევიზორს არ ვუყურო. ამან საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრებიდან რაღაც ცუდი წავიდა და ბედნიერი ვარ. თეატრშიც კი ჩემს ტელევიზორში ვერც ერთ არხს ვერ დაიჭერთ, მარტო დივიდი არხია. რაც საჭიროა, იმას ინტერნეტიდან ვიღებ, ინტერნეტში სულ ვარ. ტელევიზია რეალურად არის გამოთაყვანებისთვის და იმისთვის, რომ დრო დაკარგო, ჩემს დროს კი ძალიან ვუფრთხილდები.

*– თქვენზე ამბობენ, არა ღირებულ, არამედ კომერციულ სპექტაკლებს დგამსო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?*

– არანაირად არ ვეთანხმები. რას ნიშნავს კომერციული? თუ ვინმე თვლის, რომ კომედიანტები, ძმები, კავკასიური ცარცის წრე, მექანიკური ფორთოხალი, ან მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ არის უბრალოდ კომერციული სპექტაკლი, ისინი, უბრალოდ, ვერ ერკვევიან, რა არის კომერცია, წავიდნენ და ნახონ „იუმორინა“. თუ ადამიანი დგას და გულწრფელად განიცდის, ცრემლი სდის ან ხარხარებს მთელი სპექტაკლის განმავლობაში და მოდის მეხუთასე ან მეშვიდასე სპექტაკლზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს არის კომერციული სპექტაკლი, ეს არის ის სპექტაკლი, რომელიც მის სულს შეეხო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სპექტაკლები ამდენ ხანს ვერ გაძლებდა.

*– „მექანიკური ფორთოხალიც“ ამიტომ აირჩიეთ, რომ ადამიანების სულს შეხებოდით?*

– რა თქმა უნდა. „მექანიკურ ფორთოხალში“ ჩვენ მოვყევით იმაზე, თუ რა გადავიტანეთ 90-იან წლებში და რისი ბრალია, რომ დღეს ვართ ძალიან ცუდად. რა არის ამ სპექტაკლში კომერციული? კომერციულია, როცა ჩვენ ვიღაცას ვაშიშვლებთ სცენაზე ან უგემოვნოდ ვხუმრობთ. ჩვენ ნებისმიერ პროექტს, რაზეც ხალხი დადის, ვეძახით კომერციულს და ვამბობთ, რომ ცუდია. ანუ კარგი რა არის, რომელზეც ხალხი არ დადის, ან დადის და ეძინება? მოდით, ჯერ ეს გავარკვიოთ და მერე ვიდავოთ.

*– ამ სპექტაკლში სათქმელს ჟარგონების გარეშე ვერ იტყოდით?*

– დავიწყოთ იქიდან, რომ ამის გარეშე თავად ბერჯერსის რომანი წარმოუდგენელია. ნამდვილად არ ვარ იმის მომხრე, რომ სცენიდან იგინებოდნენ, ისევე, როგორც არ მიყვარს გაუპატიურებისა და სიშიშვლის ჩვენება სცენაზე და არც ვიყენებ, თუ ამის განსაკუთრებული საჭიროება არ არის. გინებას ხალხი არ მოჰყავს სპექტაკლზე. მაშინ ძალიან ადვილი იქნებოდა სპექტაკლების დადგმა და ხალხის მოყვანა. ორჯერ შეიგინები, სამჯერ ქალს გახდი, ხუთჯერ უგემოვნოდ იხუმრებ და მაყურებელი გეყოლება. ის ჟარგონი, რომელიც არის „მექანიკურ ფორთოხალში“, სულ არის ბერჯერსის, მინიმალურად არის ჩემ მიერ დამატებული, ეს კი, პრაქტიკულად, ასახავს 90-იან წლებს. ბანდა რომ შემოგივარდებოდა ოჯახში, ის არ იძახდა, გეთაყვა, გადაჯექით იქით ან, თუ შეიძლება, თქვენს ქალიშვილს გავაუპატიურებო. ისინი მოდიოდნენ პირდაპირ. ამისთვის დავიცავით თავი და ეს არ იყო სარეკლამო ტრიუკი, როცა ვთქვით, რომ 16 წლამდე ბავშვებს არ ვუშვებთ ამ სპექტაკლზე. მერე ბევრს უკვირდა, რატომ არ უშვებთ, სიშიშვლე არ არის სცენაზე და არავის აუპატიურებთო. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს სიტყვას და არ ვუშვებთ 16 წლამდე მაყურებელს, რადგან ბავშვმა ძალადობა არ უნდა ნახოს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა საშინელება იყო 90-იანი წლები, რომ ჩვენ 90-იან წლებში ხარაკირი გავიკეთეთ, მაშინ ერთმანეთზე ავიღეთ ხელი და დაიწყო სამოქალაქო ომი, დავკარგეთ აფხაზეთი და ცხინვალი, ომის შემდეგ დაძრწოდნენ ბანდები, რომლებიც აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ ოჯახებს. ამხელა მოვლენები უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, ეს ყველაფერი კი დღეს ამდენი უბედურების სათავეა. ეს ჩემი თემაა, თვითონ ვარ დაჭრილი, ჩემი ძმა იყო გატაცებული, ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე. ყველა ის უბედურება, რომელიც დღეს ხდება, იმ პერიოდის ბრალია. ხშირად ვფიქრობ, გარე ძალებმა ხომ არ ჩაატარეს ჩვენზე ექსპერიმენტი, რომ რაღაცაზე ხელი აგვეღო, რაღაცაზე არ გვეოცნება და საკმაოდ დიდ ხანს ცუდად ვყოფილიყავით. ამიტომ დადის მაყურებელი ამ სპექტაკლზე და არა იმიტომ, რომ იგინებიან. უამრავი სპექტაკლი მინახავს, სადაც იგინებიან და სამი სპექტაკლის შემდეგ იქ აღარავინ მისულა. ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი მოდის ჩემთან და მეუბნება, რომ მართლები ვართ და მართლა რა საშინელი პერიოდი გავიარეთ. სათქმელს ყველა იგებს. თუ ვინმე ამას კომერციულს ეძახის, ის ან ვერ ერკვევა ამ ყველაფერში, ან, უბრალოდ, ბოროტია. საზოგადოებაში კი საკმაოდ ბევრია ბოროტი და სიკეთე ყოველთვის იყო ცოტა დოზით, ამიტომ მას გაფრთხილება და გამოვლინება სჭირდება. ჩვენ უნდა ვამხილოთ და ვილაპარაკოთ, რომ ის ბოროტია.

*– რაშია თქვენი თეატრის წარმატების საიდუმლო?*

– ჩვენ ყოველთვის ვიყავით გულახდილნი მაყურებელთან. ჩვენი სპექტაკლები ალსარებას ჰგავს. ხშირად ვთამაშობთ მაყურებლის შიშველ ნერვზე, ვეხებით მას და ვეუბნებით იმ სატკივარზე, რაც მას სტკივა. ხშირად გვიტკენია, ხშირად გაგვიბრაზებია, მაგრამ ამის არ გვეშინია. როცა ექიმთან მიდიხარ და ის რაღაცას გტკენს, არ უბრაზდები, იმიტომ რომ იცი, ექიმი განგკურნავს.

*– თქვენ ჩვენს საზოგადოებას კურნავთ?*

– ვცდილობ, რომ განვკურნო საზოგადოება. ჩემთვის ყოველთვის იყო მთავარი ობიექტი საზოგადოება და ის, ხშირ შემთხვევაში, დაკომპლექსებულია. თანაც ჩვენი საზოგადოება სათქმელს მკარნახობს და მიკვეთს თავისი სურვილებით, თავისი კომპლექსებით. ხშირად იმასაც კი მიკვეთენ, რაზე უნდა დავცინო მათ.

*– თქვენს თავსაც დასცინით?*

– მეც საზოგადოების წევრი ვარ, ამიტომ ჩემს თავსაც დავცინი, რადგან თვითირონიის გრძნობა მაქვს. საზოგადოების კარნახს ვითვალისწინებ, მაგრამ არ მიყვარს მითითებები. ჩვენს პოლიტიკურ სპექტაკლებშიც არასოდეს მივუთითებ კონკრეტულ პიროვნებებსა და კონკრეტულ ძალას. მაშინაც კი, როცა დავცინი რამეს, მხედველობაში მაქვს „იდიოტოკრატია“ და „ყველაფერი კარგად იქნება“, დავცინი საზოგადოებას, იმიტომ რომ ის აკეთებს ყველაფრის არჩევანს და ხშირად ის თვითონ უკვეთს ხარაკირს. ჩემთვის დასაცინი ობიექტი ყოველთვის იყო საზოგადოება და არა ერთი რომელიმე კონკრეტული ობიექტი, რადგან ეს უკვე არაპროფესიონალიზმია. ყველამ თავისი თავი უნდა დაინახოს „იდიოტოკრატიაშიც“ და შექსპირის პიესაშიც კი. უბრალოდ, თვითონ რეჟისორი არ უნდა დავიდეს იქამდე, რომ პრიმიტიულად უჩვენოს, ის არის ის და ეს არის ეს.

*– თქვენ დაგინახავთ საკუთარი თავი?*

– თუ ჩემს სპექტაკლებზე საუბრობთ, 50 პროცენტი ჩემზეა. ჩემი თეატრი ჩემთვის საავტორო თეატრია, ამიტომ უამრავი რამ ჩემს სპექტაკლებში დევს ჩემი ავტობიოგრაფიული და ყველა ჩემი სპექტაკლის პიესის თანაავტორი ვარ. იქ ჩემი სათქმელი იდება, ასევე უამრავი ქცევა, ავტობიოგრაფიული მომენტები და ეპიზოდები. ეს ჩემი საავტორო თეატრია და ამას არც ვმალავ, არა იმიტომ, რომ მე დავაარსე, ამ შემთხვევაში ამას არა აქვს მნიშვნელობა, აქ სპექტაკლებს ვგულისხმობ, იგივე „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარს“. ეს არის ჩემი სათქმელი, რასაც ველაპარაკები საზოგადოებას. ვიპოვე ძალიან კარგი თეატრალური ფორმა, სპექტაკლის მეშვეობით ველაპარაკები მაყურებლებს იმ საკითხებზე, რომლებიც მაწუხებს და, ამავე დროს, მასაც აწუხებს. ვიცი, რომ ამით ბევრ ავტორს გავანაწყენებ, მაგრამ ჩემთვის მაინც უმთავრესია ის პოზიცია, რას ვხედავ იმ ავტორის სიუჟეტში და ტექსტების მიღმა. ეს ტოტალური რეჟისორული თეატრია, სადაც რეჟისორი გამოდის წინა პლანზე, როგორც სპექტაკლის ავტორი.

*– თქვენ რომ დათანხმებულიყავით რუსთაველის თეატრში მუშაობას რობერტ სტურუას წასვლის შემდეგ, შეძლებდით ამ ყველაფრის რეალიზებას?*

– არ მქონია მაგის სურვილი, ყოველთვის უარს ვაცხადებდი.

*– რატომ, შეგეშინდათ თუ არ გინდოდათ?*

– არსებობს რაღაც მორალური კრიტერიუმები, რომელიც ჩემთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობრივი შემოთავაზება. სხვა დამოკიდებულება მაქვს რუსთაველის თეატრთან. 13 წელი იქ ვიმუშავე, რობერტ სტურუა ჩემი პედაგოგია, ადამიანი, რომელმაც უამრავი რამ მასწავლა, მაქვს მუდმივი შინაგანი დიალოგი მასთან, ამიტომ ამას არც ერთ შემთხვევაში არ ვიზამდი. მხოლოდ მაშინ დავთანხმდებოდი, თვითონ მას რომ სდომებოდა.

*– მაგრამ, ვიღაც ხომ უნდა მოვიდეს მის ადგილას?*

– ყველა თეატრს აქვს ამოფრქვევისა და მერე დასვენების პერიოდი. მესმის, რომ ეს სამწუხაროა, მაგრამ იყოს დღეს ასე, პირველ რიგში თეატრი უნდა მოეგოს გონს, დასი დაწყნარდეს, გააანალიზოს, რა მოხდა. რადგან სტურუა წავიდა, ზოგს ჰგონია, რომ მაშინვე ვიღაც უნდა მოვიდეს და ახალი რევოლუცია დაიწყოს. ნუ დაიწყება, რა მოხდა. ჩვენ წლების განმავლობაში ხომ ვუყურებდით ამა თუ იმ თეატრის ამოფრქვევას და მერე დასვენებას. იგივე ხდება რუსთაველის თეატრში, არაფერი საპანიკო ამაში არ არის. გავა დრო და რუსთაველის თეატრი მარად ახალგაზრდა განაგრძობს ცხოვრების ზრდას. ამ თეატრში არის ეგ პოტენცია და მას კიდევ დიდი წარმატებები ექნება. ვინ უხელმძღვანელებს, ამას დრო გვიჩვენებს.

*– არც წლების მერე დაფიქრდებით ამაზე?*

– ხომ ვთქვი, რომ ჩემში ყოველთვის მორალური კრიტერიუმებია უმთავრესი. რომ მდომებოდა ამ კრიტერიუმების გადალახვა და გადათელვა, სიტყვაზე დამიჯერეთ, შეიძლება, უფრო მაღალ თანამდებობებზეც ვყოფილიყავი ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ გავაკეთე და ერთი წამითაც არ ვნანობ. თბილისში ჯერ გავხსენი ერთი თეატრალური სარდაფი, მერე გავხსენი თავისუფალი თეატრი, რომელიც ჩემ შემდეგაც დიდ ხანს გააგრძელებს ცხოვრების გზას ლამაზად და თავის მაყურებელს შეხედავს თვალებში. ამ ქალაქისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის შეიძლება ეს გაცილებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყოს, ვიდრე ჩემი რომელიმე თანამდებობაზე გადასვლა.

*– ამბობენ, ვარსიმაშვილი რომ წავა, მის მსახიობებს რა ეშველებათო.*

– არსად წასვლას არ ვაპირებ, თან მყავს ძალიან კარგი მოწაფეები და შევეცდები, ისე გავაკეთო, რომ თაობათა ცვლა ამ თეატრში იყოს. საინტერესოდ მუშაობენ ჩემი მოწაფეები, გამოვყოფ ვანო ხუციშვილს, რომელიც ყალიბდება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო რეჟისორი ქართულ თეატრში, მას ემატება შვიდი ახალგაზრდა რეჟისორი, რომლებიც ორ წელიწადში დაამთავრებენ და მათზე დიდ იმედებს ვამყარებ. მათ უკვე ვუთმობ სცენას, არ ვერევი მათ მუშაობაში, მხოლოდ ვეხმარები. მათ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან. თაობათა ცვლა ძალიან მნიშვნელოვანია და ამას მხოლოდ მივესალმები. რუსთაველის თეატრის ისტორიულ კატაკლიზმებსაც ამაზრზენად ვუყურებდი, გულწრფელად რომ ვთქვა, ახმეტელს და მარჯანიშვილს თავისუფლად შეეძლოთ, ერთად ემუშავათ, შემდგომ მოვლენებს რომ არ შევეხოთ. ბევრი მეკითხება, როგორ ხდება, რომ სხვა რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლს 11 წელი რეპერტუარში ინარჩუნებთო. დათო დოიაშვილის „ჯინსების თაობაზეა“ საუბარი. ეს არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ კომერციული მოგება აქვს ამ სპექტაკლს. აქ საუბარია იმაზე, რომ უნდა შეგეძლოს იმის სიხარული, რომ შენს თეატრში იდგმება სხვა კარგი სპექტაკლიც. მიხარია, როცა ვანო ხუციშვილის სპექტაკლებზე „თოჯინების სახლი“ თუ „საძაღლეთი“ დადის ხალხი. ესეც ხომ ჩემი გამარჯვებაა. სხვა რეჟისორები ჩემი კონკურენტები არ არიან, რადგან ვიცი, ისინი ვერასოდეს დადგამენ ისეთ სპექტაკლს, როგორსაც დავდგამ მე და, პირიქით, ვერასოდეს დავდგამ ისეთ სპექტაკლს, როგორსაც დადგამენ ისინი. თუ ნუგზარ ლორთქიფანიძე დადგამს კარგ სპექტაკლს ჩემს თეატრში, რატომ არ არის ეს ჩემი გამარჯვება? ჩვენ ხომ დოგმების გარემოცვაში ვიმყოფებით და ეს არ ვარგა, რადგან ყველაფერი შეიძლება, როგორც ბრეხტი ამბობს, თუკი ის სიკეთეს ემსახურება. სტერეოტიპების რღვევაც თავისუფალი თეატრის ამოცანაა და ამიტომაც დაიდგა ჩვენთან „კავკასიური ცარცის წრე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ოქრო, ბევრი იმედგაცრუება და მცირე მომავალი

1 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო – ასეთია ქართული მონაგარი ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

7 მედალი, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენი ამბიცია გაცილებით მაღალი იყო, ამიტომ ქართველი ათლეტების გამოსვლა ინტერნეტ გამოკითხვებში საშუალოდ, ან ცოტა მასზე უარესად შეფასდა.

ამ პათოსს არ ეთანხმება ოლიმპიური კომიტეტი, რომლის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ქართველთა გამოსვლა 5-ბალიანი სისტემით 4 პლუსად შეაფასა. მისი სიტყვებით, ოლიმპიადაზე დაგეგმილი იყო 7-8 მედალი, აქედან 2-3 უმაღლესი სინჯის. თუ, ასე დაიგეგმა, მაშინ ჩვენების გამოსვლა ოლიმპიადაზე ცუდად უნდა შევაფასოთ, რადგან ავიღეთ, პროგნოზით გათვალისწინებული მინიმალური რაოდენობა და ხარისხითაც ჩამოვრჩით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ერთადერთი ოქროც, რომელიც ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა, საერთოდ დაუგეგმავი იყო, მაშინ სად წავიდა დაგეგმილი მედლები?

თუ 2008 წელს პეკინში გამართულ ოლიმპიადას შევადარებთ, წელს ჩვენები უკეთ გამოვიდნენ რაოდენობის მხრივ (პეკინში 3 ოქრო და 3 ბრინჯაო ავიღეთ) და ჩამოვრჩით ხარისხით.

მოდით კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს.

როგორც უკვე ვთქვით, ქართული ოლიმპიური დელეგაცია ლონდონიდან ერთი ოლიმპიური ჩემპიონით ბრუნდება – 66 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე, 20 წლის ძიუდოისტი, ლაშა შავდათუაშვილი.

ლაშა, ისევე, როგორც ჩვენი სპორტსმენების უმრავლესობა, დებიუტანტი იყო. თუმცა, გორელმა ბიჭმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ თუ ოლიმპიადის მოგება გინდა, წინ ვერაფერი დაგიდგება.

ისიც გითხარით, რომ შავდათუაშვილი მედლის კანდიდატად არ მოიაზრებოდა, რადგან საკმაოდ გამოცდილი და ტიტულოვანი მეტოქეები ჰყავდა, ლაშა არ შეუშინდა მათ ტიტულებს, გამოცდილებას და ალეხანდრო ზუნიგა, დავიდ ლაროშე, კოლინ ოატსი, მასაში ებინუმა და მიკლოს უნგვარი ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა. ჩვენებურმა მართლაც ფანტასტიკურად იჭიდავა და ფინალამდე ყველა მეტოქე ვადაზე ადრე, სუფთად დაამარცხა. ფინალი კი იუკოთი მოიგო და მთელი ტურნირის განმავლობაში ქულაც კი არ დაუკარგავს.

რაც მთავარია, ლაშა შავდათუაშვილი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონია.

ქართველებს რომ ჭიდაობა გვეხერხება, ამას თქმა არ უნდა – ყველა სხვა მედალიც სწორედ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოგვიტანეს.

„კლასიკების“ პირველივე დღე წარმატებული აღმოჩნდა. 60 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე რევაზ ლაშხმა ფინალამდე გზა ერთი ამოსუნთქვით განვლო, სამწუხაროდ, ფინალში ირანელ ნოროზისთან ვერაფერს გახდა, მაგრამ საქართველოს დელეგაციის ხანგრძლივი უმედლო სერია შეწყვიტა.

იმავე დღეს კიდევ ერთ მედალთან ვიყავით ახლოს, 84 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვლადიმერ გეგეშიძეს ბრინჯაო მსაჯებმა კისრიდან ჩამოხსნეს და ყაზახური დელეგაცია გაახარეს. ეს არ იყო მსაჯების ერთადერთი არაობიექტური გადაწყვეტილება ლონდონში – სპორტული თემიდა შემდეგშიც შეცდა ჩვენს საწინააღმდეგოდ. მართალია, ამის გამო 3 მსაჯი ოლიმპიადიდან დაითხოვეს, მაგრამ ამით ჩვენ არაფერი მოგვემატა.

მორიგი მედალი ისევ „კლასიკოსმა“ მანუჩარ ცხადაიამ მოგვიტანა – ამჯერად ბრინჯაო. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხადაიასგან მეტს ველოდით და ოქროს კანდიდატად მოიაზრებოდა.

ამის შემდეგ ჩვენი მონაგარი ოქროთი ვერ შეივსო, მაგრამ იყო ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო. ოთხივე მედალი თავისუფლებისა გახლდათ.

ყველაზე ახლოს ოქროსთან ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და დავით მოძმანაშვილი იყვნენ. მოძმანაშვილმა 120 კგ წონითი კატეგორიის ლიდერს და ლეგენდას, უკვე 3-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს, უზბეკ ტაიმაზოვს ვერაფერი მოუხერხა და ეს გასაკვირიც არ იყო. სამაგიეროდ, მოძმანაშვილმა მართლაც კარგი ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი და მომავალში მისი იმედი კიდევ უნდა ვიქონიოთ.

ხინჩეგაშვილი კი, ზემოთ ნახსენები მსაჯების არაობიქტურობის მსხვერპლი გახდა. 55 კგ წონითი კატეგორიის ფინალური დაპირისპირების პირველი პერიოდი ლადომ რუს ოთარ



სულთანოვთან წილისყრის შედეგად წააგო, თუმცა მეორე პერიოდში ბოლო წამებზე შესრულებული ილეთი არ ჩაუთვალეს და მიზეზად დროის დასრულება მოიგონეს. ობიექტურად ვიტყვით, რომ დრო ამოწურული არ იყო და ჩვენებურს სეტის მოგება ეკუთვნოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ მესამე, გადამწყვეტ სეტში შეძლებდა ჩვენებური ოქროს აღებას, თუმცა იმდენად სასიამოვნოდ იჭიდავა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო.

ასევე წარუმატებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ 84 კგ წონით კატეგორიაში დავით მარსაგიშვილის ბრინჯაოც. მეოთხედფინალში დათო მოულოდნელად დამარცხდა პუერტორიკოელ ესპინალთან. ბრინჯაოსთვის კი, რეპეშაჟიდან იბრძოლა და მედალი მაინც აიღო. მწვრთნელებმა დათოს მარცხის მიზეზად მეოთხედფინალის წინ მისი ფსიქოლოგიური შოკი დაასახელეს და 21 წლის სპორტსმენისგან, რომელსაც უეჭველ ოქროს სთხოვდნენ, ეს გასაკვირიც არ არის. თუმცა, მარსაგიშვილი ისევ საქართველოს იმედია, დათო დაღვინდება, გამოცდილებასაც მოიმატებს და საქართველოს მომავალში გაახარებს.

შეჯიბრების ბოლო დღეს დიდი იმედი გვქონდა, რომ გიორგი გოგშელიძე მაინც იბრძოლებდა უმაღლესი ჯილდოსთვის, მას მერვედფინალში ეგვიპტელი მეტოქე არ გამოუცხადდა, მეოთხედფინალში მოლდოველ ჩობანუს სძლია, მაგრამ ვერაფერი გააწყო ნახევარფინალში ამერიკელ ვერნერთან, რომელიც საბოლოოდ გახდა კიდეც ოლიმპიური ჩემპიონი. მიზეზად გიორგიმ მუხლის ტრავმა დაასახელა, რომელიც კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა მეორე პერიოდში მეტოქის ფეხში შესვლის შემდეგ. საბედნიეროდ, ამას არ შეუშლია ხელი გოგშელიძისთვის ბრინჯაოს ფინალში უზბეკი ყურბანოვი დაემარცხებინა, რითიც 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის შედეგი გაიმეორა.

საბოლოოდ, მოჭიდავეებმა 6 მედლის მოპოვება შეძლეს – 3 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

სამწუხაროდ, ქართულ სპორტს მუდამ თან სდევს იმედგაცრუება და არ არსებობს რომელიმე დიდი ფორუმი, რამდენიმე ასეთი შემთხვევა რომ არ მოხდეს. ასეთად ამ ოლიმპიადაზე მთელი ძიუდოისტთა ნაკრები უნდა დავასახელოთ, რაღა თქმა უნდა, ლაშა შავდათუაშვილის გარდა.

პირველ რიგში, ვარლამ ლიპარტელიანი, რომელიც ნაკრების ლიდერად მიიჩნეოდა და მისგან ოქროს ელოდნენ, თუმცა, ვერც უფრო დაბალი სინჯის მედალს გამოკრა ხელი. მეტიც, „ლიპომ“ ყოვლად უსახელო ავსტრალიელ ენტონისთან მერვედფინალშივე იწვნია მარცხი.

შესაძლოა, მედლების კანდიდატები ძიუდოისტთაგან სხვები არც ყოფილან, მაგრამ „ექსელის“ ტატამზე იმდენად უსუსრად გამოიყურებოდნენ, რომ კრიტიკა ვერ გაუძლებს.

შედეგიც სახეზეა – ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ ძიუდოს ფედერაცია დატოვა პრეზიდენტმა და, სავარაუდოდ, მას მთავარი მწვრთნელი, ავსტრიელი ზაიზენბახერიც უნდა მიყვეს.

როდესაც გაირკვა, რომ ძალოსნობაში 105 კგ წონის რუსი ფავორიტები შეჯიბრებას ტრავმის თუ დოპინგზე ჩავარდნის შიშით გამოეთიშნენ, ძალოსანი გია მაჭავარიანი უმალვე ფავორიტად იქცა და მისგან უკვე ოქროს თუ არა, ნებისმიერი სხვა სინჯის მედალს ელოდნენ. ამას თან დაერთო ისიც, რომ კიდევ ერთი ფავორიტი პოლონელი დოლეგას ატაცში „ჩავარდა“ და შეჯიბრებას ნაადრევად დაემშვიდობა. იმის მიუხედავად, რომ მაჭავარიანმა ატაცში 3 ცდიდან 2 ჩააგდო, 185 კილოგრამიანი შტანგა ერთხელ ასწია და აკვრის წინ მე-2 ადგილზე დამკვიდრდა. მედალი უკვე ახლოს იყო, ახლა მთავარი მისი სინჯი რჩებოდა, მაგრამ...

მაჭავარიანმა აკვრაში სამივე ცდა ჩააგდო და საერთოდ უმედლოდ დარჩა. არადა, საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი რომ გაემეორებინა, ოლიმპიური ოქროს მფლობელი ხდებოდა.

გაცილებით მეტს ველოდით ოლიმპიური ნაკრების ყველაზე გამოცდილ და ტიტულოვანი სპორტსმენის, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძისგან. სამწუხაროდ, ჩვენმა მედროშემ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერც ერთ დისციპლინაში ვერ გადალახა.

ასევე მეტს ველოდით მშვილდოსანი ქრისტინე ესებუასგან. ქართველმა სპორტსმენმა იმდენად ცუდად იასპარეზა საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომ შემდეგ რთული ბადე შეხვდა. მართალია, ოცდამეთორმეტედფინალი კი გადალახა, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში სამხრეთ კორეელ ჯინ სუნგ ლისთან ველარაფერს გახდა.

2008 წლის შემდეგ, ერთი ადგილით გააუარესა შედეგი ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ. საუკეთესო 8 მხტომელს შორის ლუბამ 52,925 ქულით, მე-7 აჩვენა. თუმცა, ქართველი მხტომელისგან წინასწარი პროგნოზებით მეტს მოველოდით.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ოთარ თუშიშვილის უსუსური მარცხი უზბეკ ნავროზოვთან, ოთარი ნამდვილად არ გავდა ტიტულოვან სპორტსმენს, რომელსაც მინიმუმ მედლისთვის ბრძოლა მართებდა. უკეთესის სურვილი დატოვა დავით ხუციშვილის, მალხაზ ზარქუას, სოსო ჯაბიძის და გურამ ფერსელიძის გამოსვლამ.

მოკრივე მერაბ თურქაძე კი ლონდონში ტურისტად წავიდა. ჩვენებურს არც რინგზე შეუდგამს ფეხი და არც მუშტი მოუქნევია ვინმესთვის. მიზეზი კი იმდენად სასაცილოა, ტირილი მოუნდება კაცს – წინა ღამის ნავახშმევმა თურქაძემ წონა მოიმატა, მეორე დღისთვის ველარ დაიკლო და შეჯიბრებიდან მოხსნეს.

მთლად ტურისტებს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ოლიმპიური პრინციპი – მთავარია მონაწილეობა, ზედმიწევნით შეასრულეს ჩვენმა მძლეოსნებმა. ვერ ვიტყვით, რომ მათგან მედლებს ველოდით, მაგრამ ვერც 110 მეტრზე თარჯმრბენმა დავით ილარიანმა, ვერც სიგრძეზე მხტომელებმა ბოლესლავ სხირტლაძემ და მაიკო გოგოლაძემ და ვერც „გაქართველებულმა“ პოლონელმა როსიევიჩმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

თუმცა, ამ ოლიმპიადაზე მარ[...] ცუდიც არ შეინიშნებოდა. ერთბაშად ორი მონაწილე გვყავდა ჩოგბურთის ტურნირზე, ერთეულებში ანა ტატიშვილი, ხოლო წყვილებში, ტატიშვილი მაკა ჩახნაშვილთან ერთად გამოვიდა. წყვილებმა პირველი ეტაპი ვერ გადალახეს და მათგან სხვა შედეგს არც ველოდით. სამაგიეროდ, ქების ღირსია ტატიშვილი, რომელმაც პირველ ეტაპზე ლიხტენშტეინელი ვოგტი გამოთიშა ასპარეზობას, მაგრამ მეორეზე ვერაფერი გააწყო რუს ნადეჟდა პეტროვასთან, თუმცა გვარიანად „ოომა“ და ძლიერი მეტოქეც საკმარისზე მეტად აწ[...]ვიულა.

ლიცენზიანტი გვყავდა ცურვაში. 17 წლის ირაკლი ბოლქვაძე ქართული დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრია. 200 მ ბრასის სტილით გაცურვისას მან პირადი შედეგი გააუმჯობესა. მართალია, საკვალიფიკაციო ნორმატივი მაინც ვერ დაძლია, თუმცა იმედი ჩაგვისახა.

განსაკუთრებით ქების ღირსია მძიმეწონოსანი ძალოსანი ირაკლი თურმანიძე. მან ორივე დისციპლინაში 6-დან 5 ცდა გამოიყენა. ყველა პირადი რეკორდი გააუმჯობესა და საბოლოო შედეგით – 433 კგ (201 პლუს 232) [...] ადგილს დასჯერდა. მისი მეტოქეების გათვალისწინებით, ეს ირაკლისთვის ნამდვილად კარგი შედეგია.

პოლიტიკური ამბები დატრიალდა ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის გარშემო. ფრანგ სოფიან მილუსთან მერვედფინალში წაგებული შეხვედრის შემდეგ მოჭიდავე საქართველოში ოფიციალურ დელეგაციაზე ადრე ჩამოვიდა. როგორც თავად განაცხადა, მას ბრალად პოლიტიკურ პარტიაში „ქართული ოცნება“ გაწევრიანება დასდეს და ლონდონშივე უპირებდნენ „სამაგალითო დასჯას“. ასე რომ არ მომხდარიყო, მეგობრების დახმარებით გამოვიპარეო, განაცხადა თბილისში დაბრუნებულმა სპორტსმენმა. მეტიც, მარცხის მიზეზად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დაასახელა, ჭიდაობისას არ დამეხმარაო. ცოტა არ იყოს, აბსურდულია მინისტრზე იმის დაბრალება, რომ ფრანგმა სპორტსმენმა ჩვენებური ტატამზე 5 წამში ადრე სუფთად დააგდო.

მოკლედ, ლონდონის ბატალიები კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, რომელსაც ვერც წარმატებულად ჩავთვლით და ვერც წარუმატებლად. წინ 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებია. ერთადერთ ნუგეშად ის შეგვიძლია დავიტოვოთ, რომ ჩვენი ოლიმპიური ნაკრები ახალგაზრდულია და იქ მაინც გამოვა უკეთესად.

# ესპანეთი სეზონს რეალი–ვალენსიათი ხსნის

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.08 | არსენალი-სანდერლენდი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 18.08 | ფულემი-ნორვიჩი | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 18.08 | ქპრ-სუონსი | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 18.08 | რედინგი-სტოკი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 18.08 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 18.08 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 19.08 | უიგანი-ჩელსი | 6.5 | 4.0 | 1.53 |
| 19.08 | სიტი-საუთჰემპტონი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 20.08 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.0 | 3.5 | 1.91 |

**არსენალი-სანდერლენდი**

არსენალი: *ტრავმა*-მიკელ არტეტა, ბაქარი სანია, ტომაშ როსიცკი, მეანუელ პრიმპონგი, ჯეკ უილშირი

სანდერლენდი: *ტრავმა*-სტეფან სესინიონი, ვესლი ბრაუნი

**ფულემი-ნორვიჩი**

ფულემი: *ტრავმა*-სიმონ დევისი

ნორვიჩი: *ტრავმა*-ელიოტ უორდი

**ქპრ-სუონსი**

ქპრ: *ტრავმა*-ჯიმი მაკი

სუონსი: *ტრავმა*-არავინ

**რედინგი-სტოკი**

რედინგი: *ტრავმა*-ჯიმი კებე, შონ გუმინგი

სტოკი: *ტრავმა*-მარკ ვილსონი, რობერტ ჰანტი

**ვესტ ჰემი-ასტონ ვილა**

ვესტ ჰემი: *ტრავმა*-ჯორჯ მაკარტნი, კევინ ნოლანი

ასტონ ვილა: *ტრავმა*-ბრეტ ჰოლმანი, კრის ჰერდი, სტილიან პეტროვი, გაბრიელ აგბონლაჰორი, რიჩარდ დანი

**ნიუკასლი-ტოტენჰემი**

ნიუკასლი: *ტრავმა*-დემბა ბა, პაპის სისე, ჰატემ ბენ არფა, ჩეიკ ტიოტე, ფაბრიციო კოლოჩინი

ტოტენჰემი: *ტრავმა*-ჯოვანი დოს სანტოსი, სკოტ პარკერი

**უიგანი-ჩელსი**

უიგანი: *ტრავმა*-ჯეიმს მაკკარტური

ჩელსი: *ტრავმა*-დანიელ სტარიჯი, მარკო მარინი

**სიტი-საუთჰემპტონი**

სიტი: *ტრავმა*-მარიო ბალოტელი, მიკა რიჩარდსი

საუთჰემპტონი: *ტრავმა*-ჯეკ კორკი

**ევერტონი-მანჩესტერი**

ევერტონი: *ტრავმა*-მარუან ფელაინი, დარონ გიბსონი

მანჩესტერი: *ტრავმა*-ფილ ჯონსი(?), დარენ ფლეტჩერი, ჯონ ევანსი, კრის სმალინგი

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.08 | სელტა-მალაგა | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 18.08 | სევილია-ხეტაფე | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 18.08 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.05 | 3.25 | 3.8 |
| 19.08 | ბილბაო-ბეტისი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 19.08 | რეალი-ვალენსია | 1.25 | 5.5 | 10.0 |
| 19.08 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.07 | 11.0 | 29.0 |
| 19.08 | ლევანტე-ატლეტიკო | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 20.08 | დეპორტივო-ოსასუნა | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 20.08 | რაიო-გრანადა | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 20.08 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 2.2 | 3.3 | 3.3 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.08 | ლიონი-ტრუა | 1.36 | 4.33 | 9.5 |
| 18.08 | ბრესტი-ევიანი | 2.25 | 3.2 | 3.2 |
| 18.08 | ვალანსიენი-ნიცა | 1.91 | 3.2 | 4.33 |
| 18.08 | ტულუზა-სტ.ეტიენი სტ.ეტიენი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 18.08 | ლორიენი-მონპელიე | 2.8 | 3.0 | 2.7 |
| 18.08 | ბასტია-რეიმსი | 1.75 | 3.4 | 5.0 |
| 19.08 | მარსელი-სოშო | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 19.08 | ბორდო-რენი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 19.08 | აიაჩო-პსჟ | 6.5 | 3.6 | 1.57 |

**ლიონი-ტრუა**

ლიონი: *ტრავმა*-უგო ლორისი, დეიან ლოვრენი

ტრუა: *ტრავმა*-არავინ

**ბრესტი-ევიანი**

ბრესტი: *ტრავმა*-არავინ

ევიანი: *ტრავმა*-არავინ

**ვალანსიენი-ნიცა**

ვალანსიენი: *ტრავმა*-ბენჯამინ ანგუა, დუშან ჯურიჩი, გრეგორი პუიოლი

ნიცა: ხავიერ პენტეკოტე, კ[...] ანინი

**ტულუზა-სტ.ეტიენი**

ტულუზა: *ტრავმა*-არავინ

სტ.ეტიენი: *ტრავმა*-არავინ

**ლორიენი-მონპელიე**

ლორიენი: *ტრავმა*-ვესლი ლ[...] ტოა

მონპელიე: *ტრავმა*-გარი ბ[...]ლი, იუნის ბელანდა

**ბასტია-რეიმსი**

ბასტია: *ტრავმა*-დომენიკ ა[...]ტინი, იასინ ელ-აზუიზი

რეიმსი: *ტრავმა*-არავინ

**მარსელი-სოშო**

მარსელი: *ტრავმა*-არავინ

სოშო: *ტრავმა*-არავინ

**ბორდო-რენი**

ბორდო: *ტრავმა*-იაროს[...] პლასილი

რენი: *ტრავმა*-არავინ

**აიაჩო-პსჟ**

აიაჩო: *ტრავმა*-არავინ

პსჟ: *ტრავმა*-გილერმე ჰო[...] ტიაგო მოტა, მოჰამედ სისოკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბასტია1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | |
| 2.ბორდო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | |
| 3.ლილი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | |
| 4.ნანსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | |
| 5.აიაჩო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | |
| 6.ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | |
| 7.ვალანსიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | |
| 8.მარსელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | |
| 9.პსჟ | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | |
| 10.ლორიენი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | |
| 11.მონპელიე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | |
| 12.ტულუზა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | |
| 13.სოშო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | |
| 14.ევიანი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | |
| 15.სტ.ეტიენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | |
| 16.ბრესტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | |
| 17.ნიცა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | |
| 18.რენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | |
| 19.ტრუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | |
| 20.რეიმსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | |

# აშშ-ში 337 მლნ დოლარის მფლობელს ეძებენ




აშშ-ში 337 მლნ დოლარის მფლობელს ეძებენ, თუმცა ამ დრომდე არ გამოჩენილა.

ამერიკაში ლატარეა „პოვერბოლმა" ყველაზე მსხვილი ჯეკ-პოტი გაათამაშა. მოგებულმა თანხამ 337 მლნ დოლა... შეადგინა, რაც ამ ლატარიის ისტორიაში უპრეცედენ... დღემდე ყველაზე დიდ მოგებად ლატარიისთვის 60 მლნ ...ლარი ითვლებოდა, რომელიც კონექტიკუტის მცხოვრებ... მოიგო.

337 მლნ დოლარის მფლობელი კი მიჩიგანის მცხოვრე... გახდა, რომელმაც ბედნიერი 6 ციფრი გამოიცნო და 337 ... დოლარის პოტენციური მფლობელი გახდა.

ამ ფონზე მკითხველს ალბათ დააინტერესებს მსოფ...ის ყველაზე მსხვილი ფულადი მოგების ისტორია:

მრავალი წლის მანძილზე ელექტრიკოსი მაიკლ მაკ...რმოტი ბრიტანული ნაციონალური ლატარიის თითო ბი...თს ყიდულობდა და ერთი და იმავე რიცხვებით ავსებდა. ეს ...ცხვები მან თავის მეუღლესთან ერთად შეადგინა: 15, 16, ...28, 36, 49. თითოეულ ტირაჟში მაიკის მიერ მოგების შანსი ...რმეტი მილიონიდან ერთს უდრიდა, მაგრამ მან მაინც ...იგო. 2002 წლის ივნისში ლოტოტრონზე მაიკის 6 რიცხვი... 5 ამოვიდა. დამატებითმა საპრიზო ბურთმა კულმინაცია ...ჩრულა და საბოლოოდ მოგებამ 194 მილიონ 501 ათასი ...ნტი შეადგინა.

მაიკმა ამ თანხით ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე კუნძულ...ზე სახლის მშენებლობა წამოიწყო და ჩვეულებისამებრ ...ტარიის ბილეთის შევსება მისთვის ბედნიერი რიცხვებით ...აგრძო. ეს კი ლოგიკაში არანაირად არ ჯდებოდა. იმის ...ალბათობა, რომ ერთმა ადამიანმა ორჯერ გაიმარჯვოს ერ... და იმავე ლატარიაში, 1/150 ტრილიონთანაა. თუმცა იმავე ...ის 13 ოქტომბერს ლოტოტრონმა კვლავ მაიკის ნომრები ...ურა. ამჯერად მოგება 121 მილიონ 157 ათასი ფუნტი იყო.

ამ მოგების შემდეგ მაიკმა საბოლოოდ დაანება თავი ...ობას და თავის ახალ სახლში დაბინავდა, მაგრამ ლატა... ბილეთში იღბლიანი რიცხვების ჩაწერას მაინც აგრძე...ა.

**35 მილიონი დოლარი. სათამაშო ავტომატები**

ლას-ვეგასი წარმოუდგენელი დამთხვევების ქალაქია, ...ეც სინტია ჯეი და ტერი ბრენანი ცხოვრობდნენ. სინტია ...ფიციანტად მუშაობდა, ტერი კი – ბარმენად. სამუშაო ...ის დასრულების შემდეგ ისინი გასართობად სამორინეებს ...ტრობდნენ. სინტიას ბედნიერი რიცხვი 27 იყო, რადგან ამ ...ს მან ტერი გაიცნო. ამიტომ 2009 წლის 27 იანვარს ოტელ ...ერტ ინის" სამორინეში მან სათამაშო ავტომატში ზუს... 27 დოლარის დახარჯვა გადაწყვიტა.

სინტიამ და მისმა მეგობარმა ავტომატში უკანასკნე... 3 დოლარი ჩააგდეს და უკვე წასასვლელად გაემზადნენ, ...დესაც აპარატმა თვალისმომჭრელი ციმციმი დაიწყო. ეს ...იყო უბრალო მოგება და არც უბრალო ჯეკპოტი. ეს იყო ...ლაზე დიდი ჯეკპოტი სათამაშო ავტომატების ისტორია... – 34,959,458 დოლარი. სინტიას ამდენი ფული რომ ეშოვა, ...ფიციანტად 1165 წელი უნდა ემუშავა.

სინტია და ტერი დაქორწინდნენ, მაგრამ ორ თვეში ...ნელი ავტოკატასტროფა მოხდა, რომლის დროსაც სინ... და დაიღუპა, თავად მილიონერი კი სამუდამოდ პარა...ზებული დარჩა. მისი მეუღლე ტერი ამბობს, მთელ მოგებაზე უარს იტყოდა, ძველი ცხოვრება რომ დაებრუნებინა.

**149 მილიონი დოლარი. ლატარია**

2004 წლის ნოემბერში ლატარია „მეგამილიონში" კიდევ ერთმა ემიგრანტმა გაიმარჯვა. 49 წლის კოლუმბიელ ხუან როდრიგესს იმ დროისთვის უზარმაზარი ვალი დაუგროვდა. ბინის ქირა გადასახდელი, მაცივარი ცარიელი, ორმოცდაოთხი ათასი დოლარი ვალი, საბანკო ანგარიშზე 78 ცენტი, ჯიბეში კი – ერთი დოლარი.

ასეთი იყო ხუანის ფინანსური მდგომარეობა მანამ, სანამ იმ უკანასკნელი ერთი დოლარით ლატარიის ბილეთს არ იყიდდა. ადვილი წარმოსადგენია ხუანის რეაქცია, როდესაც მისმა ბილეთმა 149 მილიონი დოლარი მოიგო. სიხარული მან, რა თქმა უნდა, მეუღლეს გაუზიარა, რომელმაც თანხის მთლიანად აღება ურჩია. გადასახადების გადახდის შემდეგ თანხამ 88, 5 მილიონი დოლარი შეადგინა. 10 დღეში კი ირისმა ქმარს განქორწინება და ქონების გაყოფა მოსთხოვა.

**181 მილიონი დოლარი. ლატარია**

ლატარია „ბიგ გეიმის" ჯეკპოტი, რომელმაც 2007 წელს 363 მილიონი დოლარი შეადგინა, უმსხვილესია ლატარიების მსოფლიო ისტორიაში, თუმცა მომგებიანი ბილეთი მაშინ ორი აღმოჩნდა და სოლიდური პრიზი ორმა მოთამაშემ გაიყო. ერთ-ერთი იღბლიანის შესახებ არაფერია ცნობილი, მეორე კი ლარი ლორისია. მას ლატარიის 98 ბილეთის შეძენა ჰოთდოგების გამყიდველმა აიძულა – ლარიმ ორდოლარიანი ჰოთ-დოგი შეიძინა, გამყიდველს კი ასდოლარიანის ხურდა არ ჰქონდა. თავდაპირველად ლარიმ ბუზღუნი დაიწყო, მაგრამ შიმშილის გრძნობამ სძლია და ხურდის ნაცვლად ბილეთები აიღო. მოგების შემდეგ ლარიმაც მთლიანი თანხის აღება არჩია.

**315 მილიონი დოლარი. ლატარია**

ლატარია „ფაუერ ბოლი" ყველაზე პოპულარულია აშშ-ში. 2002 წლის დეკემბერში მისმა ჯეკპოტმა 280 მილიონი დოლარი შეადგინა. შობის დღესასწაულის წინ ამერიკა მასობრივმა ფსიქოზმა შეიპყრო. ლატარიის გამავრცელებელ ჯიხურებთან მრავალათასიანი რიგები დადგა. შედეგად საპრიზო ფონდმა რამდენიმე დღეში 315 მილიონ დოლარს მიაღწია.

2002 წლის 26 დეკემბრის გათამაშებას მთელი ამერიკა დაძაბული ადევნებდა თვალს. ლოტოტრონზე იღბლიანი რიცხვები ამოვიდა: 5, 14, 29, 53, და 7. რიცხვების ეს კომბინაცია მხოლოდ ერთ ბილეთში აღმოჩნდა, რომელიც ქალაქ ჰინტონის სამშენებლო კომპანიის მფლობელს, 55 წლის ჯეკ უიტაკერს ეკუთვნოდა.

გამარჯვებულმა მოგების ერთბაშად აღება გადაწყვიტა და ხელზე მხოლოდ 112 მილიონი დოლარი აიღო. მან განაცხადა, რომ მოგებას მხოლოდ ეკლესიასა და ოჯახს გაუყოფდა. მართლაც, უიტაკერმა 5 მილიონ დოლარზე მეტი თავის შტატში ეკლესიების ასაშენებლად გაიღო. მისი ფონდი ყოველთვიურად ასეულობით ათას დოლარს ხარჯავდა უპატრონო ბავშვების კვებაზე, ჩაცმასა და განათლებაზე, მეგობრებს კი მანქანებსა და სახლებს ჩუქნიდა.

მილიონერს ძალიან უყვარდა სამორინესა და სტრიპტიზ-კლუბებში მოლხენა. 2003 წლის ივნისში ერთ-ერთ ადგილობრივ ბარში ჯეკი ისე გამოთვრა, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ გაქრა მისი მანქანიდან კეისი, რომელშიც ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი იდო. მართალია, კეისი სულ მალე იპოვეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მისი მანქანიდან კიდევ 100 000 დოლარი მოიპარეს.

ამჯერად ფული ველარ იპოვეს. მას შემდეგ მრავალმილიონიანი მოგების მფლობელს ყოველ კვირაში ძარცვავდნენ. ქალებს მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეჰქონდათ სექსუალური ძალადობის ბრალდებით, მამაკაცები კი მკვლელობის მცდელობასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას სწამებდნენ. მოკლედ, პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა უიტაკერის მოგებით კარგად იხეირეს. ჯეკმა ოჯახი მიატოვა და გალოთდა. მას იარაღის უკანონოდ შენახვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. ორ წელიწადში მან მთელი ფული დაკარგა და ბიზნესიც ჩაუვარდა.

# ნეთანიაჰუ: იერიში ირანის ბირთვულ ობიექტებზე ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებულია

ირანის ბირთვულ ობიექტებზე პრევენციული დარტყმა „ამართლებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ბოლომდე განადგურება ვერ მოხერხდება", – ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ თავის გარემოცვასთან შეხვედრისას განაცხადა.

ისრაელის პრემიერი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაცია რამდენიმე წლით შეფერხდება, – წერს „იერუსალიამ პოსტი".

ნეთანიაჰუს განცხადებით, ერთი ან ორი წელი, რომელიც ირანს დასჭირდება, ისრაელის შეტევის შემდეგ პროგრესის მისაღწევად ბირთვული იარაღის შექმნის საქმეში, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.



ნეთანიაჰუმ არ გამორიცხა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პოლიტიკური ცვლილებები და ისეთი ფაქტორების წარმოქმნა, რომელიც რეგიონში ვითარებას შეცვლის.

პრემიერ-მინისტრმა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად 1981 წელი გაიხსენა, როდესაც ერაყის ბირთვულ ობიექტ ოსირაქზე მიტანილმა საავიაციო იერიშმა სადამ ჰუსეინს ბირთვული იარაღის შექმნის საშუალება არ მისცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი შიმონ პერესი აშშ-ის მონაწილეობის გარეშე ირანზე დარტყმის მიყენების წინააღმდეგია.

მისი თქმით, მთელი მსოფლიო, პირველ რიგში აშშ ათვითცნობიერებს თეირანის მხრიდან ბირთვულ საფრთხეს და ამიტომაც ისრაელმა დამოუკიდებლად არ უნდა იმოქმედოს.

ნეთანიაჰუს მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთმა წევრმა გააკრიტიკა პერესის პოზიცია და აღნიშნეს, რომ პერესს დაავიწყდა პრეზიდენტის პოსტის სიმბოლური ხასიათის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიცია მხარს უჭერს პერესის განცხადებებს.

ბოლო გამოკითხვების მიხედვით ისრაელის მოსახლეობის 60% წინააღმდეგია აშშ-ის თანადგომის გარეშე ირანზე იერიშის მიტანას, 27% მხარს უჭერს ასეთ გადაწყვეტილებას და მხოლოდ 13%-ს აღნიშნულ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია არა აქვს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ისრაელის სახელმწიფო ირანთან 30-დღიანი ომისთვის სრულ მზადყოფნაშია". ამის შესახებ ისრაელის მინისტრთა კაბინეტის წევრმა მატან ვილნაიმ განაცხადა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ომი იწარმოებს რამდენიმე მიმართულებით და, სავარაუდოდ, 30 დღე გაგრძელდება.

– ქვეყანა, ისე, როგორც არასდროს, მზად არის საომარი მოქმედებისთვის, – განაცხადა მინისტრმა.

ვილნაი დარწმუნებულია, რომ კონფლიქტის დაწყებისთანავე ქვეყნის ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს აწონილი და ისრაელმა თავისი მოქმედებები აშშ-ს უნდა შეუთანხმოს.

– ომის დაწყება ისეთი რამაა, რომელიც ჯობია გადადო და კარგად აწონდაწონო. ჩვენი საუკეთესო მეგობარია, მათთან ერთად უნდა გავუწიოთ კოორდინაცია ასეთ მოქმედებებს, – განაცხადა მინისტრმა.

ირანთან ომის შემოდგომაზე შესაძლო დაწყების შესახებ რამდენიმე დღის წინ განცხადებები ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმაც გააკეთეს.

# ვლადიმერ პუტინის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის საქმიანობის შეფასება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. მის საქმიანობას დადებითად მხოლოდ 48% აფასებს, 25% კი მკვეთრად უარყოფითად.

ლევადა ცენტრის მონაცემებით, ჯერ კიდევ მაისში პუტინს მხარდაჭერას გამოკითხულთა 60% უცხადებდა, 21% კი უარყოფითად იყო განწყობილი.

სოციოლოგები ნდობის კატასტროფულ ვარდნაზე საუბრობენ, რადგან წინა ორი საპრეზიდენტო ვადისას მისი ნდობის კოეფიციენტი საშუალოდ 65% იყო. უკმაყოფილოთა რაოდენობის მაჩვენებელი კი საშუალოდ 13%-16%.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გასული საპრეზიდენტო ვადისას პუტინს 2005 წელს დაუფიქსირდა – 55%.

საზოგადოებრივი აზრის ფონდის გამოკითხვებში მდგომარეობა უფრო უარესადაა. რუსეთის პრეზიდენტს მხარდაჭერას მხოლოდ 45% უცხადებს. 27% აცხადებს, რომ ნაწილობრივ ენდობა ქვეყნის ხელისუფალს, ხოლო 23% მას არ ენდობა. ასეთივე ნდობის კოეფიციენტი ჰქონდა პუტინს 2011 წელს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე აქციების დროს.

ექსპერტების განცხადებით, ნდობის ადრინდელი მაჩვენებლის აღდგენა პუტინისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება.

ვლადიმერ პუტინი (დ. 7 ოქტომბერი, 1952, ლენინგრადი, რუსეთის სფსრ) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს. 2008 წლის 8 მაისს გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პრეზიდენტის პოსტზე.

მოამზადა გერა მამულაშვილმა


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ...ტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის ...ნასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ...ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აზტელი 700 608, შეიცვალა ...ალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება ...შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.



იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 20 აგვისტო

08.00 დოკ. ფ. „დედები და შვილები ჰოლივუდში„ 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 მოამბე 09.10 ანიმაცია „მახინჯი ჭუკის დიდი შეჯიბრი„ 10.35 მხ.ფ „მარლინის შურისძიება„ 12.45 ვახო სანაიას რეპორტაჟი 13.45 მხ.ფ „ცასა და მიწას შორის„ 15.30 ჩვენი ფერმა. 17.00 დოკ. ფილმი „სამყარო„ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „მიწის და მტრედი„ 21.00 სერ. „დეტექტივები„ 22.00 აუდიტორია 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.30 მედიამონიტორი 00.30 საფარი 01.20 მხ.ფ „ჩურჩული ლამით„ (18) 03.20 მხ.ფ „ჯუნგლებში დაკარგული ნიმუში„ (12) (ლ. დიქსონი) 05.00 მხ.ფ „მისის სტოუნის რომაული გაზაფხული„ (18) 06.30 დოკ.ფ. „მსოფლიო ოდისეები„

08.00 დოკ. ფ. „მარგლიოს ქალაქები - პეკინი„ 09.00 მხ.ფ „უჩვეულო ქორწინება„ 10.30 დოკ ფ „მსოფლიო ოდისეები„ 11.00 მხ.ფ „საიდუმლო აგენტები„ 12.30 დოკ ფ „მსოფლიო ოდისეები„ 12.50 მხ.ფ „ნიანგი დანდი - 2„ 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფ. „სამყარო„ 17.00 სერ. „მეორე შანსი„ 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 20.00 მხ.ფ. „დედამიწის დასალიერისკენ„ 1-2 სერ. 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ.ფ. „შეუსრულებელი მისია 3„ (ტ. კრუზი)

